



საჯარო პოლიტიკის  
შექმნის პროცესში  
საზოგადოებრივი  
მონაწილეობის  
შეფასება

ფაზა II





პუბლიკაცია მომზადებულია WeResearch-ის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის ხელშეწყობით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

WeResearch-ის გუნდი მადლობას უხდის რესპონდენტებს, რომელთაც მოცემულ გამოკვლევაში მონაწილეობას დრო დაუთმეს. აგრეთვე, გვსურს, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და UNDP-ს თანამშრომლებისადმი მოცემული კვლევის შესახებ ღირებული უკუკავშირისა და მასში მონაწილეობისათვის.

**მკვლევრები:**

ელენე რომელაშვილი  
ევა მოდებაძე  
მარიამ მუქერია  
ლიკა ძაგანია

**კვლევის ასისტენტები:**

მარიამ დარბაიძე  
ნინო ბასილიძე  
ანა ჭკადუა

# სარჩევი

<b>აკრონიმები</b>	<b>4</b>
<b>რეზიუმე</b>	<b>5</b>
<b>წინასიტყვაობა</b>	<b>9</b>
<b>შესავალი</b>	<b>10</b>
<b>საჯარო კონსულტაციები - საქართველოს კონტექსტი</b>	<b>11</b>
<b>საჯარო კონსულტაციის ინდექსი (PCI)</b>	<b>16</b>
<b>მეთოდოლოგია</b>	<b>19</b>
კვლევის ამოცანები და ძირითადი საკვლევე შეკითხვები	19
დოკუმენტების შერჩევა	19
მონაცემთა შეგროვება	20
შერჩევა	20
კვლევის ინსტრუმენტები	21
მონაცემთა ანალიზი	21
ქულების მინიჭება	21
ეთიკური მიდგომა	22
ინფორმირებული თანხმობა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა	22
კვლევის მონაწილეების კონფიდენციალობის დაცვა	23
შეზღუდვები	23
<b>ანალიზი</b>	<b>25</b>
<b>საჯარო კონსულტაციების ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება</b>	<b>26</b>
1. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობა	30
2. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციების პროცესის ღიაობა	34
3. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა	35
4. კრიტერიუმი - ანგარიშვალდებულება	40
5. კრიტერიუმი - მონაწილეთა მრავალფეროვნება და საჯარო კონსულტაციის პროცესის ინკლუზიურობა	44
6. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესში საზოგადოების ჩართულობა და დაინტერესება	48
<b>შეჯამება და შედარება წინა კვლევასთან</b>	<b>52</b>
<b>დასკვნა და რეკომენდაციები</b>	<b>54</b>
რეკომენდაციები	54
<b>დანართი I: თითოეული სტრატეგიის შეფასება საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) მიხედვით</b>	<b>57</b>
<b>დანართი II: საჯარო კონსულტაციების ინდექსი (PCI)</b>	<b>83</b>

## აკრონიმები

**AoG** - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

**CAP** - კლიმატის სამოქმედო გეგმა

**CSO** - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები

**EU** - ევროკავშირი

**GESI** - გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია

**GoG** - საქართველოს მთავრობა

**KII** - ძირითადი ინფორმანტის ინტერვიუ

**LGBTQ** – ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარი

**NGO** - არასამთავრობო ორგანიზაცია

**OECD** - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

**PAR** - საჯარო ადმინისტრაციის რეფორმა

**PCI** - საჯარო კონსულტაციის ინდექსი

**SIGMA** – მართვისა და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა UN – (გაერო) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

**UNDP** - გაეროს განვითარების პროგრამა

**USAID** - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

## რეზიუმე

წინამდებარე კვლევა საქართველოში საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასების სერიის მეორე ნაწილია. მოცემული კვლევის მიზანი 2021 წელს შემუშავებული დოკუმენტების მომზადების პროცესში საჯარო კონსულტაციების მიმდინარეობის ხარისხის შეფასება იყო.

კვლევის ამოცანებს წარმოადგენდა:

- ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შესაბამისობის შეფასება საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებაში გაწერილი რეგულაციებისადმი.
- საჯარო კონსულტაციების ხარისხის შეფასება საჯარო კონსულტაციების ინდექსსა (PCI) და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით.
- არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მათ გამოსწორებისათვის განსაზღვრული პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

შეფასებისათვის გამოყენებული ძირითადი მეთოდოლოგიური ჩარჩო „საჯარო კონსულტაციის ინდექსი“ (PCI), რომელიც შემდეგი ექვსი კრიტერიუმისა და მათი ინდიკატორებისაგან შედგება: 1. ხელმისაწვდომობა, 2. ღიაობა, 3. საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა, 4. ანგარიშვალდებულება, 5. მონაწილეთა მრავალფეროვნება და ინკლუზია, 6. საზოგადოების დაინტერესება და ჩართულობა.

პირველი ხუთი კრიტერიუმი საჯარო უწყებების მიერ შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად გამოჩენილ ძალისხმევას აფასებდა. მეექვსე კრიტერიუმი კი სამოქალაქო ჩართულობას მაკოორდინირებელი უწყების გადმოსახედიდან შეისწავლიდა. PCI თავდაპირველად 2020 წელს ჩატარებული კვლევისათვის შემუშავდა და გამოიცადა. მიმდინარე კვლევის ფარგლებში, PCI გადაიხედა, დაიხვეწა და გაუმჯობესდა.

კვლევა თვისებრივ მიდგომას ეფუძნებოდა. მონაცემები შეგროვდა მაკოორდინირებელი საჯარო უწყების წარმომადგენლებთან და საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან ჩატარებული 27 ინტერვიუს მეშვეობით და დამატებით, ორი დაკვირვებისა და საჯარო კონსულტაციების შემატამბელი ანგარიშების ანალიზის საფუძველზე.

კვლევის სამიზნე იყო 12 სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021 წლის საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების კოპორტიდან. საჯარო პოლიტიკის თითოეული დოკუმენტი შეფასდა PCI-ს კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესაბამისად.

კვლევამ აჩვენა, რომ სამი ფაქტორი - საზოგადოებრივი მონაწილეობის კარგი პრაქტიკის ცოდნა, მაკოორდინირებელი უწყებების პოლიტიკური ნება და დონორთა მხარდაჭერა - შინაარსიანი და ეფექტური საჯარო კონსულტაციების ჩატარებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტებია. მეტიც, მონაწილეობის პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის, არცერთი ცალკე აღებული ფაქტორი არ კმარა. ამრიგად, აუცილებელია თითოეული ზემოხსენებული ფაქტორის კომბინირება, რადგან თითოეული მათგანი დანარჩენებს აძლიერებს. ეს სამი ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობაზე, ღიაობაზე, ეფექტურობაზე, ანგარიშვალდებულებაზე

და ინკლუზიურობაზე. კვლევის სამიზნე საჯარო კონსულტაციების PCI-სთან შესაბამისობის შეფასება დეტალურად ქვევით შეგიძლიათ იხილოთ.

## ხელმისაწვდომობა

მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობას არ გაუვრცელებია საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადება საჯარო არხების მეშვეობით, რის შედეგადაც საკონსულტაციო პროცესი მხოლოდ მიწვეული დაინტერესებული მხარეებით შემოიფარგლა. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების დიდი ნაწილი სამთავრობო ვებსაიტების მეშვეობით გამოქვეყნდა, თუმცა, დაგეგმილი საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის მითითების გარეშე. ფართო საზოგადოების ჩართვისკენ მიმართული ძალისხმევის სიმცირის პარალელურად, სახეზე იყო კიდევ ერთი პრობლემა - საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების ენობრივი ხელმისაწვდომობა - და მთლიანობაში, მაკოორდინირებელი უწყებები მხოლოდ მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებდნენ. გარდა ამისა, საჯარო კონსულტაციების პროცესისადმი ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (PWD) ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი ის სფერო იყო, სადაც მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობამ ვერ დააკმაყოფილა საჯარო კონსულტაციების ინდექსის (PCI) ხელმისაწვდომობის კრიტერიუმის მინიმალური მოთხოვნები. მონაცემები აჩვენებს, რომ თუმცაღა გადაწყვეტილების მიღების შინაარსიანობის თვალსაზრისით, ზოგმა მაკოორდინირებელმა უწყებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, საჯარო კონსულტაციების პროცესისადმი ხელმისაწვდომობა პრობლემად რჩება და უფრო ფართო საზოგადოების ჩართვის უზრუნველყოფა მეტ ძალისხმევას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით ეხება საზოგადოების უფრო მოწყვლად სეგმენტებს, რომელთა ხმები არასაკმარისად არის წარმოდგენილი და რომელთაც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე წვდომა შეზღუდული აქვთ.

## ღიაობა

საჯარო კონსულტაციების ღიაობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა საჯარო პოლიტიკის შექმნაში ქეშმარიტი სამოქალაქო ჩართულობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მაკოორდინირებელი უწყების ყველა წარმომადგენელი ხაზს უსვამდა სამოქალაქო ჩართულობისა და მონაწილეობითი დემოკრატიის მნიშვნელობას, მათი უმეტესობა ვერ ახერხებდა რიგითი მოქალაქეებისათვის საჯარო კონსულტაციების ღიაობის უზრუნველსაყოფი კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას. საჯარო კონსულტაციების დახურული ფორმატი, სადაც დაინტერესებული მხარეები წინასწარ განისაზღვრება, ნებისმიერი დაინტერესებული მხარის სურვილისამებრ ჩართვის შესაძლებლობას აფერხებს და სამთავრობო ინსტიტუციების ღიაობას ეწინააღმდეგება.

## საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა

პროცესის ეფექტურობის კრიტერიუმში მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობამ კარგი შედეგი აჩვენა. მაკოორდინირებელი უწყებები საჯარო კონსულტაციების სხვადასხვა ფორმატს იყენებდნენ და უკუკავშირის მიღების მრავალფეროვან მექანიზმებს მიმართავდნენ და შესაბამისად, საჯარო კონსულტაციების უმრავლესობა თითოეული ამ ინდიკატორის მოთხოვნას აკმაყოფილებდა. თითოეულ შემთხვევაში, მონაწილეებს საჯარო კონსულტაციების შესახებ სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე ატყობინებდნენ. კონსულტაციების უმეტესობა ერთზე მეტ ფორმატში, საჯარო პოლიტიკის შემუშავების ციკლის ერთზე მეტ საფეხურზე მიმდინარეობდა. მეტიც, მაკოორდინირებელი უწყებების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამისათვის საკმარისი დრო გამოყო და უკუკავშირის მიღების ერთზე მეტი მექანიზმი უზრუნველყო. თუმცა, სირთულეები კვლავაც რჩება და ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მაკოორდინირებელი უწყებებისა და საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა პერსპექტივიდან,

ეფექტურობა სხვადასხვაგვარად შეიძლება შეფასდეს. მონაწილეები ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ მათი ჩართულობა ხშირად სპორადული და ფრაგმენტული იყო და ზოგჯერ, შინაარსიანი უკუკავშირის მიწოდება ჭირდა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ PCI ინდიკატორების მიხედვით, საჯარო კონსულტაციების პროცესი მთლიანობაში, ეფექტური იყო, სახეზეა სისტემატური და თანადროული მიდგომის უკმარისობა.

## **ანგარიშვალდებულება**

ანგარიშვალდებულების კრიტერიუმში PCI-ს ყველა დანარჩენ კრიტერიუმზე უფრო მაღალი საერთო საშუალო ქულა დაფიქსირდა. თუმცა, ეს თითოეულ ინდიკატორში მიღებული მაღალი ქულებით კი არა, უმეტესად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სირთულით აიხსნება, რომლის შედეგად, სტრატეგიის ზოგიერთი დოკუმენტი შეფასების პროცესიდან გამოირიცხა. მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან, მთავარი გამოწვევა იყო ყველა მონაწილისათვის დასაბუთებული უკუკავშირის მისაწოდებლად საკმარისი რესურსებისა და დროის უქონლობა. მეორე მხრივ, საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის გამოყოფილი სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსების სიმწირე მაკოორდინირებელი უწყებების პოლიტიკურ ნებას შეიძლება ასახავდეს და აჩვენებდეს, რამდენად პრიორიტეტულია მათთვის სამოქალაქო ჩართულობა გადანაცვლებების მიღების პროცესში, და გამოყოფენ თუ არა ისინი საკმარის რესურსს ეფექტური საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად.

## **მონაწილეთა მრავალფეროვნება/ინკლუზიურობა**

მონაწილეთა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ასპექტი იყო, რომელსაც მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობა პრიორიტეტად არ განსაზღვრავდა. უმეტეს შემთხვევებში, მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლები უმცირესობათა ინკლუზიას შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების ჩატარების არსებით ნაწილად არ მიიჩნევდნენ. ისინი მონაწილეთა რელევანტური ჯგუფის ჩართულობას უფრო მნიშვნელოვნად თვლიდნენ, ვიდრე ყველა ტიპის უმცირესობათა ჯგუფის წარმომადგენლებისა. შესაბამისად, მათ თანახმად, თუ სტრატეგიის დოკუმენტი მონაცვლად ჯგუფებს არ განსაზღვრავდა რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებად, უმცირესობათა ჩართულობა ხშირად არამიზანშეწონილად და ხარჯიანად მიიჩნეოდა. შესაბამისად, PCI-ს ინდექსის მიხედვით, სტრატეგიის ყველა დოკუმენტის საშუალო ქულა ამ კრიტერიუმის ფარგლებში, ყველაზე დაბალი იყო. სტრატეგიის ხუთი დოკუმენტი 0 ქულით შეფასდა მრავალფეროვნების კრიტერიუმის ყველა ინდიკატორში, ხუთი კი გაჭირვებით აკმაყოფილებდა ინდიკატორთა უმეტესობის მინიმალურ მოთხოვნებს. სტრატეგიის მხოლოდ ორი დოკუმენტი (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030 და სამოქმედო გეგმა 2021-2022 და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030) ასცდა მინიმალურ შეფასებას და ორ ყველაზე წარმატებულ მაგალითს წამოადგენდა.

## **საზოგადოების ჩართულობა და დაინტერესება (მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან)**

მონაცემები აჩვენებს, რომ საზოგადოების ჩართულობა, შემთხვევათა უმეტესობაში, საკმაოდ მაღალი იყო. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მოწვეული მხარე უკუკავშირის მიწოდებას უზრუნველყოფდა, მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენელთა უმეტესობა საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა ჩართულობას დადებითად აფასებდა. გარდა ამისა, ისინი მიიჩნევდნენ, რომ კონსულტაციებისას მიღებული უკუკავშირი ღირებული და შინაარსიანი იყო საჯარო პოლიტიკის განსახილველი დოკუმენტის განვითარებისათვის. შედეგად, ამ კრიტერიუმის მიხედვით,



ყველა საჯარო დოკუმენტის საშუალო ქულა 3-დან 2.7-ს შეადგენს. და ბოლოს, მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლების პერსპექტივა აჩვენებს, რომ მთავრობებმა მოქალაქეების აქტიურობისა და სამოქალაქო საზოგადოების დინამიკურობის შედეგად, დიდი სარგებელი შეიძლება მიიღონ. შესაბამისად, საზოგადოებრივი ჩართულობა არამხოლოდ ანგარიშვალდებული მმართველობისთვის ასრულებს არსებით როლს, არამედ მას წვლილი შეაქვს საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების მაღალხარისხიანობაში და სამთავრობო ინსტიტუციების ჩათვლით, ყველა მონაწილის საჭიროებებისა და მოლოდინების გაზიარების გზით, ხელს უწყობს გადაწყვეტილებების სიმდგრადეს.

კვლევის მიგნებებისა და იდენტიფიცირებულ ხარვეზებზე დაყრდნობით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და მაკოორდინირებელი უწყებებისათვის რეკომენდაციების ორი წყება შემუშავდა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები ფოკუსირდება მაკოორდინირებელი უწყებებისა და ყველა შესაბამისი თანამშრომლის ცნობადობის გაზრდასა და შესაძლებლობების გაძლიერებაზე, როგორც მინიმალური სტანდარტების, ისე - საჯარო კონსულტაციების ჩატარების საუკეთესო ინტერნაციონალური და ადგილობრივი პრაქტიკების თვალსაზრისით. გარდა ამისა, გაცემულ იქნა PCI-ს გამოყენების რჩევა მაკოორდინირებელი უწყებების მოტივირებისათვის, რათა მათ თანდათანობით შეძლონ საჯარო კონსულტაციების პროცესის გაუმჯობესება. ასევე, შეთავაზებულ იქნა, საჯარო კონსულტაციის პროცესში მოწყვლად უმცირესობათა ჯგუფების ინკლუზია სავალდებულო გამხდარიყო.

მაკოორდინირებელი უწყებებისთვის გაცემული რეკომენდაციები კონცენტრირდებოდა PCI-ს მეშვეობით იდენტიფიცირებულ ყველაზე პრობლემურ სფეროებზე, ე.ი. იმ ინდიკატორებზე, რომლებშიც შედარებით დაბალი შეფასება გამოვლინდა. ეს საკითხები მოიცავდა საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებებსა და საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებზე წვდომის გაუმჯობესებას, საჯარო კონსულტაციის პროცესის მრავალფეროვნებასა და ინკლუზიურობას, ეფექტურობის გაზრდასა და უფრო ფართო სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფას და ანგარიშვალდებულების - კერძოდ, შემაჯამებელი ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესებას.



## წინასიტყვაობა

მოცემული ანგარიში WeResearch-ის გუნდის მიერ 2020 წელს ჩატარებულ კვლევას ეფუძნება.<sup>1</sup> საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების 2021 წლის კოჰორტის განსახილველი საჯარო კონსულტაციების შეფასებისას, ის წინა კვლევის განმავლობაში შემუშავებულ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებსა და პრაქტიკულ ინსტრუმენტებს ემყარება.

წინა კვლევა 2020 წელს დამტკიცებული საჯარო პოლიტიკის შესახებ გამართული საჯარო კონსულტაციის პროცესის ხარისხის შეფასებას ისახავდა მიზნად. ის საჯარო კონსულტაციების დაგეგმვას, განხორციელებასა და საჯარო კონსულტაციებში სამოქალაქო ჩართულობას შეისწავლიდა. კვლევამ მოიცვა ყველა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა<sup>2</sup>, რომელთა განსახილველად, დროის განსაზღვრულ ჩარჩოში, საჯარო კონსულტაციები გაიმართა - სულ 8 სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. კვლევას სამი მთავარი ამოცანა ჰქონდა: 1) ის აფასებდა ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შესაბამისობას საქართველოს მთავრობის N629<sup>3</sup> განკარგულებაში განერილი ახალი რეგულაციებისადმი, რომელიც ძალაში 2019 წლის 20 დეკემბერს შევიდა. 2) აანალიზებდა საჯარო კონსულტაციების ხარისხსა და სარგებლიანობას. 3) ახდენდა არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებდა პრაქტიკულ რეკომენდაციებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და საჯარო კონსულტაციების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი მაკოორდინირებელი უწყებებისათვის.

2020 წლის საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების კოჰორტაზე დაყრდნობით მიღებული მონაცემების მიხედვით, ჩამოყალიბდა სამიზნე საჯარო პოლიტიკის დოკუმენტების შესახებ გამართული საჯარო კონსულტაციების შეფასების მეთოდოლოგიური ინსტრუმენტი - საჯარო კონსულტაციის ინდექსი (PCI). PCI შერჩეულ სტრატეგიებს ექვსი კრიტერიუმის მიხედვით აფასებდა: 1. ხელმისაწვდომობა. 2. ღიაობა. 3. საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა. 4. ანგარიშვალდებულება. 5. მონაწილეთა მრავალფეროვნება. 6. საზოგადოების ინტერესი და ჩართულობა. პირველი ხუთი კრიტერიუმი აფასებს მაკოორდინირებელი უწყებების მიერ გაწეულ ძალისხმევას თითოეული საჯარო კონსულტაციისთვის, მონაწილეთა პერსპექტივიდან (სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, მოქალაქეები და ა.შ.) და მის შესაბამისობას ლიტერატურის მიმოხილვაში გაწერილ რელევანტურ სტანდარტებთან. მეექვსე კრიტერიუმი, საზოგადოების ჩართულობა/ინტერესი მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივას ასახავს. PCI შეიქმნა ლიტერატურასა და საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოში გაწერილი საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით და ვალიდაციის ვორკშოპის მონაწილეთა უკუკავშირზე დაყრდნობით, სადაც 2020 წლის კვლევის წინასწარი შედეგები იქნა წარდგენილი.

მოცემული კვლევის განმავლობაში PCI გადაიხედა, განივრცო და განახლდა - ამ პროცესს მომდევნო სექციებში უფრო დანვრილებით აღვწერთ. კვლევა მიზნად ისახავდა საჯარო კონსულტაციების პროცესის შეფასების მუშა ინსტრუმენტის ჩამოყალიბებას, რომლით სარგებლობაც სამომავლოდ ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შეეძლება მთავრობიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან თუ დონორი ორგანიზაციებიდან.

1 „საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება“, WeResearch, იხ.: [https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic\\_governance/assessing-public-participation-in-the-policymaking-process.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/assessing-public-participation-in-the-policymaking-process.html)

2 ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების გამოკლებით, რომლებზეც N629-ე სამთავრობო დადგენილებაში გაწერილი მოთხოვნებისადმი შესაბამისობის ვალდებულება არ ვრცელდება.

3 საქართველოს მთავრობის დადგენილება N629 (20 დეკემბერი, 2019) პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესების დამტკიცების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0>

## შესავალი

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, იდეა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა მთავრობას უფრო რეაგირებადს, ინკლუზიურსა და ანგარიშვალდებულს ხდის, საჯარო პოლიტიკის განვითარების სფეროს არსებით კურსად იქცა.<sup>4</sup> აღიარებულ იქნა, რომ სამოქალაქო საზოგადოების მიერ სახელმწიფოზე ზეგავლენის უნარს დადებითი წვლილი შეაქვს დემოკრატიული შედეგებისა და მმართველობის ხარისხის გაუმჯობესებაში.<sup>5,6</sup> ამ ვითარებაში, უფრო დანიშნული დემოკრატიული სისტემების მქონე ქვეყნები ზვიდან ქვევით მიმართული მმართველობის ნაცვლად, გადაწყვეტილების მიღების მონაწილეობითი, უფრო ჰორიზონტალური ფორმებით მზარდი ჩანაცვლებისაკენ ისწრაფვიან.

საზოგადოებრივი მონაწილეობის მნიშვნელობის განსაზღვრება და გაგება სხვადასხვაგვარია. ესა თუ ის მკვლევარი და საერთაშორისო საზოგადოება სხვადასხვაგვარ ტერმინოლოგიას იყენებს და განსხვავებულ ჩარჩოებს ეყრდნობა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი მონაწილეობა, ჩვეულებრივ, გულისხმობს ინდივიდუალური მოქალაქეებისა ან/და ორგანიზაციების წვლილს და ასევე, იმ გადაწყვეტილებებზე/საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას, რომლებიც მათ ცხოვრებაზე გავლენას ახდენს.

რაც შეეხება საჯარო კონსულტაციას, ის საზოგადოებრივი მონაწილეობის კერძო ფორმად მიიჩნევა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმაა.<sup>7</sup> საზოგადოებრივი კონსულტაციის შინაარსიანობა დამოკიდებულია მის მიზანზე, განხორციელებაზე, მონაწილეთა მოტივაციასა და მის შედეგებზე. ამრიგად, საჯარო კონსულტაციები შეგვიძლია მოქალაქეთა თანამონაწილეობის ძირითად მეთოდად მივიჩნიოთ, თუკი შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართვისათვის საკმარისი ძალისხმევა იქნა გაწეული, მოქალაქეთა ჩართულობის ნახალისებას აქტიურად ცდილობდნენ და მონაწილეებმა (ნაწილობრივ მაინც) შეიტანეს წვლილი შედეგში - საჯარო პოლიტიკასა თუ გადაწყვეტილებაში.

2020 წლის კვლევის ფარგლებში,<sup>8</sup> WeResearch-მა ლიტერატურა დეტალურად მომოიხილა, რის საფუძველზეც გაიწერა შეფასების თეორიული ჩარჩო, მოკვლევულ იქნა ალტერნატიული განსაზღვრებები, განხილულ იქნა მონაწილეობის ყველაზე ფართოდ ცნობილი მოდელები, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, სარგებელი და სირთულეები. ამ კონტექსტუალურ მიმოხილვას მოცემულ ანგარიშში არ გავიმეორებთ - ამ დეტალებისთვის, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია, ხსენებული კვლევა იხილოს.

4 Gaventa, J. and Barrett, G. (2010) So What Difference Does it Make? Mapping the Outcomes of Citizen Engagement. IDS Working Paper 347. Institute of Development Studies at the University of Sussex, Brighton. Available at: [https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/j.2040-0209.2010.00347\\_2.x](https://onlinelibrary.wiley.com/doi/epdf/10.1111/j.2040-0209.2010.00347_2.x)

5 Putnam, R. D. (2002) Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy, Princeton University Press

6 Cohen, J. (2007) 'Deliberative Democracy', in Rosenberg, S.W. (ed.), Deliberation, Participation and Democracy: Can the Persons Govern?, Basingstoke: Palgrave Macmillan.

7 Bishop & Davis (2002). Mapping Public Participation in Policy Choices. Australian Journal of Public Administration, 61(1):14-29.

8 საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება, WeResearch, იხ.: [https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic\\_governance/assessing-public-participation-in-the-policy-making-process.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/assessing-public-participation-in-the-policy-making-process.html)

# საჯარო კონსულტაციები - საქართველოს კონტექსტი

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველომ ხელშესახები ნაბიჯები გადადგა არსებითი დემოკრატიისა და ღია მმართველობის მიმართულებით. მიუხედავად პროგრესისა, პრაქტიკულ და ნორმატიულ დონეზე, გარკვეული სირთულეები კვლავ სახეზეა. 2015 წლიდან, საქართველოს მთავრობამ საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის (PAR) ინიცირება მოახდინა და გამჭვირვალე, ეფექტური და ანგარიშვალდებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამყარებისადმი ერთგულების მზაობა გამოხატა. PAR-ის წარმატებული იმპლემენტაცია ევროკავშირისა და საქართველოს შორის არსებული შეთანხმების მნიშვნელოვან ნაწილად გამოცხადდა. საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი<sup>9</sup> მიზნად ისახავდა ყოვლისმომცველი კონცეპტუალური ჩარჩოს გაწერას ერთი ქოლგა-დოკუმენტის ფარგლებში და PAR-ის მასშტაბს „ევროკავშირის გაფართოების სტრატეგია 2014 – 2015“-ზე დაყრდნობით განსაზღვრავდა. დამატებით, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ის ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებსაც მოიცავდა. PAR-ის გზამკვლევი მიუთითებს ქვეყნის ეროვნულ პრიორიტეტებს ექვსი მიმართულებით (ცხრილი 1).

## ცხრილი 1. საქართველოს საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის ექვსი მიმართულება

საქართველოს საჯარო ადმინისტრაციის რეფორმა					
პოლიტიკა, განვითარება და კოორდინაცია	საჯარო სერვისი და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	ანგარიშვალდებულება	სერვისის მინოდება	საჯარო ფინანსების მენეჯმენტი	ადგილობრივი თვითმმართველობა

მოცემული კვლევა საჯარო კონსულტაციის კომპონენტს შეისწავლის, რომელიც საჯარო პოლიტიკის განვითარებისა და კოორდინაციის განუყოფელი ნაწილია. საჯარო პოლიტიკის განვითარების რეფორმის ზოგადი ამოცანებია საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესება, ინფორმირებული ბიუჯეტირების გაძლიერება და გადაწყვეტილების მიღების შეფასების, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების ძლიერი მექანიზმების ჩამოყალიბება.<sup>10</sup>

საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად არის განსაზღვრული. შედეგად, საქართველომ არაერთი საერთაშორისო პასუხისმგებლობა აიღო, მათ შორის, „ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგი 2017-2020“, „მდგრადი განვითარების მიზანი 16 (ნაციონალიზებული)“, „ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ და „არჰუსის კონვენცია“<sup>11</sup> ამასთან ერთად, მოქალაქეთა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესე-

9 საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020 (2015 წლის მაისი). იხ.: [http://gov.ge/files/423\\_49307\\_626772\\_PAR\\_Geo\\_Draft\(1\).pdf](http://gov.ge/files/423_49307_626772_PAR_Geo_Draft(1).pdf)

10 საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020 (2015 წლის მაისი). Available at: [http://gov.ge/files/423\\_49307\\_626772\\_PAR\\_Geo\\_Draft\(1\).pdf](http://gov.ge/files/423_49307_626772_PAR_Geo_Draft(1).pdf)

11 არჰუსის კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 2001 წლის 30 ოქტომბერს. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1210443?publication=0> უკანასკნელად ნანახია: 30/11/20.

ბულ მხარეთა მონაწილეობას შემდეგი კანონმდებლობა არეგულირებს: საქართველოს კონსტიტუცია,<sup>12</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,<sup>13</sup> საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,<sup>14</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“<sup>15</sup> და სხვა მრავალი ნორმატიული აქტი.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის პროგრესი შესამჩნევია, სხვადასხვა ანგარიში ხაზს უსვამს მის ხარვეზებს საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში ეფექტური საზოგადოებრივი მონაწილეობის თვალსაზრისით. OECD-სა და SIGMA-ს (2018) მიერ ჩატარებული საბაზისო კვლევის ანგარიშის თანახმად, საჯარო კონსულტაციების კომპონენტში საქართველო 0 ქულით შეფასდა. ამაზე დაყრდნობით, რეფორმის მეორე ტალღის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ საჯარო კონსულტაციები PAR-ის ერთ-ერთ კრიტიკულ კომპონენტად გამოაცხადა. იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო „საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი“<sup>16</sup> ახალი წესი მიზნად ისახავდა „საჯარო პოლიტიკის შედეგებზე ორიენტირებული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების დანერგვასა და ამ მიმართულებებით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბებას“<sup>17</sup> გარდა ამისა, ის მაკოორდინირებელ უწყებებს აკისრებდა საჯარო კონსულტაციების ჩატარებას ნაციონალური თუ სექტორული საჯარო პოლიტიკის (მცირე გამონაკლისების გარდა) ყველა დოკუმენტის შესახებ, მთავრობის მიერ მათ დამტკიცებამდე. მოცემული წესი ვრცელდებოდა საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებზე, რომლებიც მისი ძალაში შესვლის შემდეგ, 2019 წლიდან იქნებოდნენ დამტკიცებულნი.

შედეგად, საჯარო კონსულტაციების ჩატარება განისაზღვრა, როგორც ინსტრუმენტი 1) საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის შესახებ მოქალაქეების ინფორმირებისათვის, 2) მოქალაქეების მოსმენისა და მათი ხედვის გაანალიზებისათვის, და 3) ქუშმარტი საჭიროებებისა და სირთულეების იდენტიფიცირებისათვის.<sup>18</sup> ეფექტური საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფისა და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ შეიმუშავა „საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“ და მისი დანართები, რომლებიც საჯარო კონსულტაციების მინიმალურ სტანდარტებსა და მოთხოვნებს განსაზღვრავს.<sup>19</sup>

12 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 77, პუნქტი 3, გვ. 31-33. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> last accessed on 30/11/20.

13 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 72 - პუნქტი 1-გ; მუხლი 103 - პუნქტი 1; მუხლი 115 - პუნქტი 2; მუხლი 117-118 და 120. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=32>

14 საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=44>

15 საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ, მუხლი 29. [https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=38#part\\_59](https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=38#part_59).

16 საქართველოს მთავრობის დადგენილება N629 (2019 წლის 20 დეკემბერი) პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესების დამტკიცების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0>.

17 იქვე. თავი 1, მუხლი 1.

18 საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიური ანგარიში (2020 წლის აპრილი). გვ.17. იხ.: [http://gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=423&info\\_id=76492](http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=423&info_id=76492)

19 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, თავი 3.5, გვ. 36-37. <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic-governance/PolicyDevelopmentHandbook.html>



- მაკოორდინირებელი უწყება ვალდებულია, წინასწარ, საჯარო კონსულტაციებამდე გონივრული ვადით ადრე შეატყობინოს დაინტერესებულ მხარეს ღონისძიების გამართვის ადგილის შესახებ.
- კონსულტაციის დასრულების შემდეგ, მაკოორდინირებელმა უწყებამ თითოეულ დაინტერესებულ მხარეს უნდა მიაწოდოს წერილობითი შეტყობინება, სადაც დასაბუთებულად განუმარტავს, რომელი რეკომენდაციები იქნა მხედველობაში მიღებული, ნაწილობრივ მიღებული, ან უარყოფილი პოლიტიკის საბოლოო დოკუმენტის შემუშავებისას.
- მაკოორდინირებელმა უწყებამ კონსულტაციის შედეგების მიხედვით უნდა მოამზადოს შემაჯამებელი ანგარიში. საქართველოს მთავრობისადმი დასამტკიცებლად წარდგენილ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტს შემაჯამებელი ანგარიში თან უნდა ერთვოდეს.
- საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში უნდა მოიცავდეს სულ ცოტა, შემდეგს:20
  - ინფორმაციას საჯარო კონსულტაციის ჩატარების შესახებ (ფორმატი, ღონისძიების ადგილი, დრო, ნომერი, საკომუნიკაციო არხი).
  - ინფორმაციას მონაწილეების (სრული რაოდენობა) შესახებ და დასკვნას მიღებული, ან უარყოფილი რეკომენდაციებისა თუ წინადადებების შესახებ.

დამატებით, სახელმძღვანელო რამდენიმე არასავალდებულო რეკომენდაციას გასცემს. მაგალითად, მაკოორდინირებელ ინსტიტუციებს მოუწოდებს მოქალაქეების ჩართვისაკენ საჯარო პოლიტიკის ციკლის ყოველ საფეხურზე, თუმცა, სავალდებულო მხოლოდ საბოლოო მონახაზის შესახებ გამართული საჯარო განხილვაა. ამასთანავე, სახელმძღვანელო მათ ურჩევს, მიმართონ ყოველგვარ ძალისხმევას ყველა რელევანტური დაინტერესებული მხარის ჩასართავად და გამოიყენონ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება, რათა ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ გონივრული ვადით ადრე გავრცელდეს, რაც ინტერპრეტაციისათვის დიდ სივრცეს ტოვებს. საჯარო კონსულტაციების პროცესის ნაცვლად, შეფასება შედეგებზე ფოკუსირდება. როგორც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან საუბარში აღინიშნა, ეს მიდგომა შეირჩა AoG-სთან არსებული მაკოორდინირებელი ინსტიტუციების მონიტორინგის მექანიზმების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

მიუხედავადიმისა, რომ სახელმძღვანელოსასარგებლო იყო საჯარო კონსულტაციების გამართვისადმი უფრო თანმიმდევრული მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, სახეზეა არაერთი პრაქტიკული სირთულე. PAR-თან დაკავშირებული მიღწევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებისათვის, 2020 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის 2019-2020 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის ყოველწლიური ანგარიში,<sup>21</sup> რომელიც 2019 წლის იანვრიდან 31 დეკემბრამდე ვადას მოიცავს. მონიტორინგის ანგარიშის მეთოდოლოგია ეყრდნობა „საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“<sup>22</sup> და

20 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართი 9. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. file:///C:/Users/Elena/Downloads/UNDP\_GE\_DG\_PAR\_policy%2520planning,%2520M&E%2520handbook\_annexes\_eng.pdf

21 საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიური ანგარიში (2020 წლის აპრილი). იხ.: [http://gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=423&info\\_id=76492](http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=423&info_id=76492)

22 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართი 9. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. [https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic\\_governance/PolicyDevelopmentHandbook.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/PolicyDevelopmentHandbook.html)

OECD/SIGMA-ს მიერ PAR-ის „მომზადების, იმპლემენტაციის, მონიტორინგის, ანგარიშის მომზადებისა და შეფასებისათვის განსაზღვრულ ინსტრუმენტებს“.<sup>23</sup>

ყოველწლიური ანგარიში ხაზს უსვამს წარმატებული საჯარო კონსულტაციების ჩატარების სირთულეებს, მათ შორის, ადამიანური რესურსების სიმწირეს, სათანადო ექსპერტიზის მქონე ექსპერტების დროული რეკრუტირების საკითხსა და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციების არათანმიმდევრულ დაგეგმვას. 2020-ის სამიზნე კოჰორტის შესახებ მომზადებული ანგარიშის თანახმად, სახელმძღვანელოში განვიხილეთ სტრანდარტებსა და მოთხოვნებს აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობისადმი დასამტკიცებლად წარდგენილი დოკუმენტების 51%,<sup>24 25</sup> ხოლო მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებს მათი თანდართული ანგარიშების 51%.

WeResearch-მა 2020 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოავლინა საჯარო კონსულტაციების განხორციელების სხვადასხვა ხარვეზი თუ სირთულე.<sup>26</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა და შეიმუშავა საჯარო კონსულტაციების ჩატარებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და საკანონმდებლო საფუძვლები, მაკოორდინირებელ უწყებებს არათანაბარი წარმოდგენა ჰქონდათ საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების წესების შესახებ. რესპონდენტთა უმეტესობამ არ იცოდა საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს არსებობის შესახებ, ან მის შინაარსს არ იცნობდა. მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობას არასათანადო წარმოდგენა ჰქონდა შემაჯამებელი ანგარიშების სტანდარტებზე. გარდა ამისა, საჯარო კონსულტაციათა დიდი ნაწილი მიზნობრივი კონსულტაციების ფორმატში ჩატარდა. ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობას არ მიუღია საგანგებო ზომები მონაწილეთა მრავალფეროვნებისა თუ ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. მაშასადამე, საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებზე დაფუძნებული, შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად, შესაბამის მაკოორდინირებელ უწყებებს უფრო ორგანიზებული და კოორდინირებული ძალისხმევა ესაჭიროებათ.

ხსენებული სირთულეების გათვალისწინებით, საჯარო კონსულტაციების ხარისხის გასაუმჯობესებლად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ „კარგი მმართველობის ინიციატივის“ და USAID-ის მხარდაჭერით, 2021 წელს შეიმუშავა „საჯარო კონსულტაციების ინსტრუქცია“, რომელიც დანართი 11-ის (მონახაზი) სახით დაემატა „საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“. დოკუმენტი წარმოადგენს საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის, განხორციელების მეთოდების, უკუკავშირის ანალიზის, ანგარიშების მომზადებისა და შეფასების ყოველმომცველი გზამკვლევის კრებულს. ის ეყრდნობა აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვას, საერთაშორისო გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკას და ხაზს უსვამს საჯარო კონსულტაციების,

23 OECD/SIGMA-ს „საჯარო მმართველობის რეფორმისა და სექტორული სტრატეგიების შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგის, ანგარიშებისა და შეფასების ინსტრუმენტი: გზამკვლევი SIGMA-ს პარტნიორებისათვის“. იხ.: <http://www.sigmaweb.org/publications/strategy-toolkit.htm>

24 პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს დანართი 9. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. [https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic\\_governance/PolicyDevelopmentHandbook.tml](https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/PolicyDevelopmentHandbook.tml)

25 საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წლიური ანგარიში (2020 წლის აპრილი). გვ.60. იხ.: [http://gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=423&info\\_id=76492](http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=423&info_id=76492)

26 საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შეფასება (2020), WeResearch. იხ.: [https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic\\_governance/assessing-public-participation-in-the-policy-making-process.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/assessing-public-participation-in-the-policy-making-process.html)

როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებული საჯარო პოლიტიკის შემუშავების არსებითი ნაწილის მნიშვნელობას. გათვალისწინებულია, რომ დამტკიცების შემდეგ, „დანართი 11“ უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ნებისმიერი საჯარო უწყებისათვის, რომელსაც საჯარო კონსულტაციების ჩატარება დასჭირდება და მათ კონსულტაციების ხარისხის გაუმჯობესებაში დაეხმარება.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მრავალი გამოწვევისა და ხარვეზისა, PAR-ისადმი აქტიური მხარდაჭერა კვლავაც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. შესაბამისად, საჭიროა მეტი კვლევა - მათ შორის, საჯარო კონსულტაციის პრაქტიკების რეგულარული შეფასება - რათა განისაზღვროს აქტივობები, უზრუნველყოფილ იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია და იდენტიფიცირდეს გაუმჯობესების ძირითადი გზები „საჯარო ადმინისტრაციის რეფორმისა“ და მისი „საჯარო პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის“ კომპონენტის წარმატებული განხორციელებისათვის.



## საჯარო კონსულტაციის ინდექსი (PCI)

მოცემული კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო ეფუძნება საჯარო კონსულტაციის ინდექსს (PCI), რომელიც აფასებს საჯარო კონსულტაციების პროცესს და არა - შედეგს. საჯარო კონსულტაციების ეფექტურობისა თუ ხარისხის შეფასებისადმი საერთო მიდგომის არარსებობით გამოწვეული სირთულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი PCI შედგენილ იქნა ლიტერატურაში განხილული საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით და შესაბამისად მიესადაგა ქართულ კონტექსტს.

ინდექსი მიზნად ისახავს საჯარო კონსულტაციების განხორციელების პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთასა და კარგ საერთაშორისო პრაქტიკასთან და შესაბამის ლოკალურ სტანდარტებთან თანხვედრის იდენტიფიცირებას. ამასთან, PCI საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებს შორის შედარებისა და მაკოორდინირებელი უწყებების მოქმედების შეფასების საშუალებას იძლევა. ასევე, ის მიზნად ისახავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერას საჯარო კონსულტაციების საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბების საქმესა და პარტნიორობისა და საჯარო პოლიტიკის დიალოგური ფორმით წარმოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის პროცესში. გარდა ამისა, ინდიკატორები ეყრდნობა საუკეთესო საერთაშორისო გზამკვლევებს, რომელთაგან რამდენიმეს (მაგ. მრავალფეროვნების ინდიკატორებს) ქართული რეგულაციების მიხედვით, სავალდებულო ხასიათი არ აქვს.

PCI-ს პირველადი ვერსია 2020 წლის კვლევის განმავლობაში შემუშავდა და გამოიცადა. მოცემული კვლევის ფარგლებში, PCI გადაისინჯა და განახლდა მთავრობის წარმომადგენელ შესაბამის ექსპერტებთან (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია), აკადემიის წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგად. ამასთან ერთად, გათვალისწინებულ იქნა „საჯარო კონსულტაციების ინსტრუქციაში“ – „საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ დანართ 11-ში (მონახაზი) - განხილული რეკომენდაციებიც. ინდექსი, კერძოდ, შემდეგი მიმართულებებით დაიხვეწა:

- გადაისინჯა PCI-ს კრიტერიუმების ინდიკატორების მკაფიოობა და სიზუსტე
- ჩამოყალიბდა დამატებითი ინდიკატორები
- დაემატა თითოეული ინდიკატორის განმარტება
- განიმარტა ქულების მინიჭების სისტემა თითოეული ინდიკატორისათვის

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ PCI-ს ისე უნდა მოვეპყროთ, როგორც ცოცხალ ინსტრუმენტს, რომელიც მომავალში, სარეგულაციო გარემოსა თუ საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების ცვლილების კვალდაკვალ, კვლავაც შეიძლება განახლდეს, შესწორდეს და გადაისინჯოს.

PCI შეზღუდულ მონაცემებს ეფუძნება. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები შეფასებულ იქნა კვლევის სუბიექტების - მაკოორდინირებელ უწყებებსა და საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა - მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ამრიგად, მკვლევართა გუნდი არ იღებს პასუხისმგებლობას რესპონდენტთა მოსაზრებების ნამდვილობის, სისრულისა და სისწორის ხარისხზე, რომელიც, შესაძლოა, შეფასების სიზუსტეზე ახდენდეს გავლენას.

ინდექსი შედგება ექვსი კრიტერიუმისაგან: ხელმისაწვდომობა, ღიაობა, საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა, ანგარიშვალდებულება, მონაწილეთა ინკლუზიურობა/მრავალფეროვნება და საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება. პირველი ხუთი კრიტერიუმი აფასებს მაკოორდინირებელი უწყებების მიერ საჯარო კონსულტაციის პროცესისათვის განუღებულ ძალისხმევას მასში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების პერსპექტივიდან და ასევე, მის შესაბამისობას ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულ რელევანტურ სტანდარტებთან. რადგანაც

საჯარო კონსულტაცია ორმხრივი კომუნიკაციის პროცესის მთავრობის წარმომადგენლებსა და ინდივიდებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, მეექვსე კრიტერიუმი - საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება და მისი შესაბამისი ინდიკატორები - შეფასების პროცესის სამართლიანობისათვის, მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივას ასახავს. თითოეული კრიტერიუმის ინდიკატორი ცხრილ 1 - შია მოცემული.

**ცხრილი 2 – PCI ინდექსი**

კრიტერიუმი 1: ხელმისაწვდომობა	კრიტერიუმი 2: ღიაობა	კრიტერიუმი 3: საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა	კრიტერიუმი 4: ანგარიშვალდებულება	კრიტერიუმი 5: მონაწილეთა მრავალფეროვნება/ინკლუზიურობა	კრიტერიუმი 6: საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება
<p>1.1. საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადება გავრცელდა სულ ცოტა, ერთი საზოგადოებრივი არხის მეშვეობით.</p> <p>1.2. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი და/ან პოლიტიკის რეზიუმე საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი.</p> <p>1.3. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი და/ან პოლიტიკის რეზიუმე ხელმისაწვდომია მარტივ ენაზე, გასაგებ ფორმატში და მისი გაგება სფეროს ექსპერტობის გარეშე შესაძლებელია.</p> <p>1.4. საჯარო განცხადება ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ძირითადი ჯგუფებისათვის (ხელმისაწვდომი აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე).</p> <p>1.5. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი და/ან პოლიტიკის რეზიუმე ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ძირითადი ჯგუფებისათვის (ხელმისაწვდომი აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე).</p> <p>1.6. საჯარო განცხადება ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (მაგ. ბრაილის კოდი, აუდიოვერსია, თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.).</p> <p>1.7. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი და/ან პოლიტიკის რეზიუმე ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (მაგ. ბრაილის კოდი, აუდიოვერსია, თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.).</p>	<p>1.1. საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ პირსა თუ მხარეს (CSO-ები, კერძო სექტორის ორგანიზაციები, რიგითი მოქალაქეები და ა.შ.).</p> <p>1.2. ყველა დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა, გააკეთოს კომენტარი/გამოხატოს უკუკავშირი საჯარო პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით.</p>	<p>3.1. საჯარო განცხადება საჯარო კონსულტაციის პროცესის დაწყებამდე სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე გავრცელდა.</p> <p>3.2. საჯარო განცხადებაში მოცემული ინფორმაცია დამაკმაყოფილებელია (შესაბამება საჯარო პოლიტიკის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს 3.5 თავში განვირეო რეკომენდაციებს).</p> <p>3.3. საჯარო კონსულტაციები ერთზე მეტ ფორმატში ჩატარდა.</p> <p>3.4. უზრუნველყოფილი იქნა უკუკავშირის მიღების ერთზე მეტი მექანიზმი.</p> <p>3.5. უკუკავშირის გამოხატვას საკმარისი დრო დაეთმო (კონსულტაციის ფორმატის შესაბამისად).</p> <p>3.6. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა საჯარო პოლიტიკის შემუშავების ციკლის სულ ცოტა, ერთ საფეხურზე მაინც.</p>	<p>4.1. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში სრულად აღწერს კონსულტაციების მიზნებს, პროცესსა და შედეგებს.</p> <p>4.2. უკუკავშირის ავტორებს მიანოდეს ინფორმაცია მიღებული, ნაწილობრივ მიღებული თუ უარყოფილი კომენტარების შესახებ.</p> <p>4.3. უკუკავშირის ავტორებს დასაბუთებული განმარტება მიანოდეს.</p> <p>4.4. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია.</p>	<p>5.1. საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესში გადაიდა საგანგებო ნაბიჯები კონსულტაციებში ორივე სქესის მონაწილეთა აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად.</p> <p>5.2. საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესში საგანგებო ნაბიჯები გადაიდა უმცირესობათა მონაცვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებისა და ჩართვისათვის.</p> <p>5.3. მაკოორდინირებელი უწყება ინახავს საჯარო კონსულტაციებში ჩართული უმცირესობების მონაცვლადი ჯგუფების წარმომადგენლების შესახებ.</p> <p>5.4. საჯარო კონსულტაციის პროცესი ადაპტირებულია უმცირესობათა მონაცვლადი ჯგუფებისათვის (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სხვადასხვა საჭიროებები).</p>	<p>6.1. ჩართული CSO-ების/ინდივიდების რაოდენობა</p> <p>6.2. უკუკავშირის უნიკალურ ავტორთა რაოდენობა.</p> <p>6.3. მაკოორდინირებელი უწყებათა მიერ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შეფასება.</p> <p>6.4. სამოქალაქო საზოგადოების მიერ მიწოდებული კომენტარების რელევანტურობა მაკოორდინირებელი უწყებების შეფასებით.</p> <p>6.5. უკუკავშირის დროული მიწოდება.</p>

PCI-ს თითოეული ინდიკატორი სკალაზე ფასდება 0-დან 3-მდე ქულით, სადაც 0 წარმოადგენს მინიმალურ, ხოლო 3- მაქსიმალურ შესაძლო ქულას. კერძოდ:

0 = საჯარო კონსულტაცია ინდიკატორს არ აკმაყოფილებს.

1 = საჯარო კონსულტაცია ინდიკატორის ასპექტებს მინიმალურად აკმაყოფილებს.

2 = საჯარო კონსულტაცია ინდიკატორის ასპექტების უმეტესობას აკმაყოფილებს.

3 = საჯარო კონსულტაცია ინდიკატორის ასპექტებს სრულად აკმაყოფილებს.

თითოეული ინდიკატორის დეტალური განმარტება, ისევე როგორც შეფასების საგანგებო გზამკვლევი თითოეული ინდიკატორისათვის იხილეთ დანართ II-ში.

# მეოთხედი

## კვლევის ამოცანები და ძირითადი საკვლევო შეკითხვები

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს საქარო კონსულტაციის პროცესის ხარისხის შეფასებას 2021 წელს შემოღებულ სტრატეგიებთან და სამოქმედო გეგმებთან მიმართებაში. ის ფოკუსირდება საქარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის პროცესის და არა - მისი შედეგების შეფასებაზე. კვლევას სამი ძირითადი ამოცანა აქვს:

- 1) შეაფასოს ჩატარებული საქარო კონსულტაციების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებით განერილ ახალ რეგულაციებთან.
- 2) საქარო კონსულტაციების ხარისხის შეფასება საქარო კონსულტაციების ინდექსისა (PCI) და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მეშვეობით.
- 3) არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი გამოსწორების შესახებ პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

## დოკუმენტების შერჩევა

კვლევის სამიზნე იყო საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული საქარო პოლიტიკის ყველა დოკუმენტი 2021 წლის კოჰორტიდან. მთავრობის მიერ 2021 წლის ოქტომბერში<sup>27</sup> შემოღებული საწყისი 51 დოკუმენტიდან, მთავრობის დადგენილება N629<sup>28</sup> ეხებოდა პოლიტიკის 32 დოკუმენტს. შესაბამისად, პირველ ეტაპზე მკვლევართა ჯგუფი ამ 32 დოკუმენტზე ფოკუსირდა, გაფილტრა 5 კონცეფცია (კონცეფციების შემთხვევაში, საქარო კონსულტაციების ჩატარება არასავალდებულოა) და პოლიტიკის 3 დოკუმენტი, რომლებიც 2020 წლის კვლევის ფარგლებში უკვე გაანალიზდა.

კვლევის ფოკუსში მოსაქცევი პოლიტიკის დოკუმენტების სიის საბოლოო სახის დასაზუსტებლად, მკვლევართა გუნდი დარჩენილი 24 დოკუმენტის მაკოორდინირებელ სახელმწიფო უწყებებს დაუკავშირდა და გამოჰკითხა, შემუშავების რა ეტაპზე იყო თითოეული დოკუმენტი, რა გეგმები ჰქონდათ საქარო კონსულტაციებთან დაკავშირებით და როგორ მიდიოდა კონსულტაციის პროცესები. კვლევის მასშტაბი მიღებულ პასუხებზე დაყრდნობით და პროექტის განრიგის გათვალისწინებით დაზუსტდა და მის ფარგლებში სტრატეგიის 12 დოკუმენტის განხილვა გადაწყდა. ესენია:

1. საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია 2021-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2022.
2. საქართველოს მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2022
3. არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის სტრატეგია 2021-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2023
4. C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგია 2021-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2023
5. ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია 2021-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2023
6. ჯანდაცვის სისტემის განვითარების სტრატეგია 2021-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2023
7. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2022

27 საქართველოს მთავრობის დადგენილება N1767 (5 ოქტომბერი, 2021)

28 საქართველოს მთავრობის დადგენილება N629 (20 დეკემბერი, 2019) პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესების დამტკიცების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4747283?publication=0> last accessed on 30/11/20.

8. სახელმწიფო სტრატეგია ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ 2022-2025 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2023
9. 2021-2025 წლების სტრატეგია ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის ადამიანებით ვაჭრობისგან (ტრეფიკინგი) დასაცავად
10. ენის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2011
11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2022-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2023
12. სახელმწიფო სამოქმედო გეგმა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისათვის 2021-2022

## მონაცემთა შეგროვება

კვლევის ძირითადი შეკითხვებისათვის პასუხის გასაცემად, კვლევის მანძილზე WeResearch-ის გუნდმა მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის თვისებრივ მეთოდებს მიმართა. კერძოდ, პირველადი მონაცემების შესაგროვებლად მკვლევართა გუნდმა გამოიყენა ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუს (KII) მეთოდი. KII წარმოადგენს ინდივიდუალურ თვისებრივ ინტერვიუს მიზნობრივად შერჩეულ რესპონდენტებთან. ჯამში, კვლევის მანძილზე ჩატარდა 27 ძირითადი ინფორმანტის ინტერვიუ (KII) მაკოორდინირებული უწყებების წარმომადგენლებთან და საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან, რომლებიც ჩართულები იყვნენ და გასცემდნენ კონსულტაციებს პოლიტიკის დოკუმენტების შესახებ. კერძოდ, 12 ინტერვიუ ჩატარდა მაკოორდინირებული უწყებების წარმომადგენლებთან და 15 - საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან, რომელთა შორის იყვნენ CSO-ების, პროფესიული ასოციაციების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა შესახებ ინფორმაცია მაკოორდინირებულმა უწყებებმა მოგვანოდა.

თავდაპირველად, KII-ებთან ერთად, კვლევის დიზაინი მოიცავდა საჯარო კონსულტაციის პროცესზე დაკვირვებასაც, თუმცა, მკვლევართა გუნდმა მხოლოდ „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების ერთიანი სტრატეგიისა და მისი 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის“ ორ საჯარო განხილვაზე დაკვირვება შეძლო. სხვა სტრატეგიების შემთხვევაში, საჯარო კონსულტაციების პროცესზე კვლევისათვის განსაზღვრულ დროში დაკვირვება შეუძლებელი იყო, რადგან ისინი ან უკვე დასრულებული იყო, ან ჯერ არ იყო დაგეგმილი, ან - ისეთ ფორმატში ტარდებოდა, რომელიც დაკვირვების საშუალებას არ იძლეოდა (მაგ., როცა უკუკავშირს მხოლოდ წერილობითი ფორმა ჰქონდა).

ეპიდემიოლოგიური შეზღუდვების გამო, სავლელე სამუშაოები ჩატარდა ან ონლაინ საკომუნიკაციო პლატფორმების, ან - ტელეფონის მეშვეობით. პრიორიტეტი როგორც მკვლევრების, ისე - მონაწილეების უსაფრთხოება იყო. ინტერვიუების აუდიოვერსია ჩაწერილ იქნა მონაწილეთა სიტყვიერი თანხმობის საფუძველზე.

მოგვიანებით, დეტალური ანალიზისათვის მომზადდა ყველა ჩაწერილი ინტერვიუს შემაჯამებელი რეზიუმე.

## შერჩევა

მკვლევართა გუნდმა მიზნობრივი შერჩევის მეთოდი გამოიყენა, რომელიც გულისხმობს მონაწილეებთან დაკავშირებას და შერჩევას კვლევის მიზნების შესაბამისად. მაკოორდინირებული სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი რესპონდენტების რეკრუტირებისათვის მკვლევართა გუნდი კვლევის ფარგლებში შესწავლილი თითოეული დოკუმენტის შესაბამის მთავარ საკონ-



ტაქტო პირს დაუკავშირდა. საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა რეკრუტირებისათვის, მკვლევართა გუნდი ცდილობდა, რესპონდენტთა რაც შეიძლება, ფართო მრავალფეროვნება მოეცვა. კერძოდ, მაკოორდინირებელი უწყებების მიერ მიწოდებული სიებიდან რესპონდენტების შერჩევას, მკვლევარებმა სხვადასხვა ფაქტორი განიხილეს და კვლევაში, შეძლებისდაგვარად, მრავალფეროვანი მახასიათებლების მქონე რესპონდენტები ჩართეს, იქნებოდა ეს გენდერი, ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობები თუ სხვა.

### **კვლევის ინსტრუმენტები**

მკვლევართა გუნდმა KII-ებისათვის ინტერვიუს ორი ნახევრადსტრუქტურირებული გზამკვლევი გამოიყენა. ერთი გზამკვლევი განკუთვნილი იყო საჯარო კონსულტაციათა მონაწილეებისათვის (CSO-ები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული ინდივიდები/ორგანიზაციები). მეორე გზამკვლევი კი მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებისათვის იყო გამიზნული. მოცემული კვლევის ფარგლებში, PCI-ს ჩარჩოსთან მოსარგებად, ინტერვიუს გზამკვლევი გადაისინჯა და ახლებურად სტრუქტურირდა. KII-ების გზამკვლევებში განვიხილეთ შეკითხვები კვლევის სამივე ამოცანას და მათ შესაბამის საკვლევ კითხვას მოიცავდა. ინტერვიუს ნახევრადსტრუქტურირებული გზამკვლევი მკვლევარს ინტერვიუს განმავლობაში შეკითხვების დამატებისა თუ ადაპტირების საშუალებას აძლევდა და რესპონდენტებსაც თავისუფლად შეეძლოთ, პასუხები სურვილისამებრ ჩამოეყალიბებინათ.

გარდა ამისა, საჯარო კონსულტაციაზე დაკვირვებისათვის, მკვლევართა გუნდმა ცალკე გზამკვლევი შეიმუშავა.

რადგანაც კვლევის მთავარი მეთოდოლოგიური ჩარჩო - PCI - გადაისინჯა და განახლდა, მკვლევართა გუნდმა კვლევის ინსტრუმენტები შეასწორა და მათი სტრუქტურაც PCI-ს ინდიკატორების მიხედვით განაახლა. ამასთან, საკვლევი ინსტრუმენტების საბოლოო სახით ჩამოყალიბებისას, გათვალისწინებულ იქნა წინარე გამოცდილება და 2020 წლის შეფასებისას მიღებული გაკვეთილებიც.

### **მონაცემთა ანალიზი**

კვლევის გუნდმა PCI მონაცემთა ანალიზის მთავარ ჩარჩოდ გამოიყენა. მკვლევარებმა პოლიტიკის თითოეული სამიზნე დოკუმენტი PCI-ს ინდიკატორების მიხედვით შეაფასეს და ქულები თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად მიანიჭეს. შეფასების წყაროებს შეადგენდა მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენელთა ინტერვიუების წერილობითი შეჯამება, საჯარო კონსულტაციათა მონაწილეების ინტერვიუების წერილობითი შეჯამება, დაკვირვებათა ანგარიშები და საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშები (როცა ასეთი ხელმისაწვდომი იყო).

### **ქულების მინიჭება**

შეგროვებული მონაცემები კრიტერიუმთა ინდიკატორების მიხედვით გაანალიზდა. მონაცემების სიმარტივის, ხელმისაწვდომობისა და საჯარო კონსულტაციების ხარისხის გაზომვის კომპლექსურობის საკითხების აწონ-დაწონვისა და კომპრომისული ვარიანტის ძიების შედეგად, სასურველ დიაპაზონად შეირჩა ქულები 0-დან (მინიმალური) 3-ის (მაქსიმალური) ჩათვლით.

შეფასების დეტალური სისტემის მიხედვით (დანართი II), ერთმა მკვლევარმა დამოუკიდებლად მიანიჭა ქულები თითოეულ ინდიკატორს სტრატეგიების შესაბამისად. მონაცემები, რომლებიც სახეზე არ იყო, ანალიზიდან გამოირიცხა. თითოეული ინდიკატორისათვის ქულების მინიჭების შემდეგ, სტრატეგიების მიხედვით თითოეული კრიტერიუმისათვის გამოთვლილი იქნა საშუალო არითმეტიკული

ქულა. მისი გაგებისა და წარდგენის სიმარტივიდან გამომდინარე, საშუალო არითმეტიკული მინიმალურ პირობით არჩევანად განისაზღვრა. შემდეგ, თითოეული სტრატეგიისათვის ჯამური ქულის განსაზღვრად, ცალკეული სტრატეგიისათვის დაანგარიშდა კრიტერიუმ 1-ის, კრიტერიუმ 2-ის, კრიტერიუმ 3-ის, კრიტერიუმ 4-ის და კრიტერიუმ 5-ის საშუალო, კრიტერიუმ 6-ის საშუალო კი ცალკე ქულად გაიწერა. სტრატეგიის დოკუმენტის მაქსიმალური ქულა 3-ს შეადგენდა.

PCI ინდექსზე თითოეულ სტრატეგიას ორი სხვადასხვა ქულა ენიჭება: პირველი ქულა, რომელიც 1-5 კრიტერიუმების ჯამურ ქულას წარმოადგენს, აფასებს მაკოორდინირებელ უწყებათა მიერ საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად მიმართულ ძალისხმევას. ეს ქულა ეყრდნობა ინდიკატორებს, რომლებიც მთლიანად მაკოორდინირებელი უწყებების კონტროლს ქვეშაა. მეორე ქულა, რომელიც მხოლოდ კრიტერიუმ 6-ს ეფუძნება, აფასებს საზოგადოების ჩართულობას კონსულტაციის პროცესში, რომელსაც მაკოორდინირებელი უწყებები მთლიანად ვერ აკონტროლებენ.

ინდიკატორების შეფასება მაქსიმალური იდეალის პირობითი და ნორმალიზებული „მონათესავეა“, რომელიც საჯარო კონსულტაციების ლიტერატურაში განხილულ კარგ პრაქტიკებს ეფუძნება. კონტექსტის გათვალისწინებას PCI ქულების მინიჭებისა და ინტერპრეტაციის პროცესში არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესზე მრავალი ფაქტორი შეიძლება ზემოქმედებდეს, მაგალითად, დოკუმენტის შინაარსის სპეციფიკა, ან - CSO-ების მოცემული სფეროთი დაინტერესებული წარმომადგენლების არსებობა.

### **ეთიკური მიდგომა**

WeResearch-ისათვის ეთიკის პრინციპები კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ეთიკის საკითხები გათვალისწინებულ იქნა კვლევის პროცესის სხვადასხვა საფეხურზე: კვლევის გეგმის ფორმულირებისას, სავლე კვლევის ფაზაში და მონაცემების ანალიზის განმავლობაში. პრინციპი „არ ავნო“ ჩვენს თითოეულ კვლევას გამჭოლ ხაზად გასდევს და რესპონდენტთა მონაცემთა დაცვის, კონფიდენციალობისა და პირადი ინფორმაციის საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. რამდენადაც კვლევის მონაწილეები - ძირითადი ინფორმანტები - დაინტერესებულ მხარეთა ორ სხვადასხვა ჯგუფს წარმოადგენდნენ, კვლევამ თითოეული სამიზნე ჯგუფისათვის შესაბამისი ეთიკური საკითხები განსაზღვრა. ეთიკურობის გათვალისწინება არამხოლოდ რესპონდენტთა და ინტერვიუერთა უსაფრთხოების დაცვაში გვეხმარება, არამედ მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფაშიც. კვლევის მანძილზე შემდეგი პრინციპები იყო დაცული:

### **ინფორმირებული თანხმობა და ნებაყოფლობითი მონაწილეობა**

ინფორმირებული თანხმობა ეთიკური კვლევის ქვაკუთხედი<sup>29</sup> კვლევის მიზნის შესახებ თითოეული რესპონდენტი ინტერვიუმდე წინასწარ იყო ინფორმირებული. თითოეულ მონაწილეს შეეძლო, სურვილისამებრ, კვლევაში მონაწილეობა მიეღო, ან მონაწილეობაზე უარი ეთქვა ნებისმიერ დროს. რესპონდენტებს ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები გაუზიარეთ და ინტერვიუები ინფორმირებული თანხმობის შემდეგ ჩავენერეთ.

- კვლევის მიზანი
- რისთვის იქნება გამოყენებული მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია?
- რესპონდენტის უფლება, არ უპასუხოს მისთვის არასასიამოვნო შეკითხვას.
- როგორ იქნება მონაცემები გამოყენებული და როგორ აისახება ისინი ანგარიშში?

29 Denzin and Lincoln (2011). The SAGE handbook of qualitative research. Thousand Oaks, CA: SAGE



- კონფიდენციალურობა.
- რომ კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა ინტერვიუს განმავლობაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ გააუქმონ.
- რომ შეუძლიათ, ინტერვიუს დაწყებამდე, მის განმავლობაში და შემდეგ ნებისმიერი დამაზუსტებელი შეკითხვა დასვან.

### კვლევის მონაწილეების კონფიდენციალობის დაცვა

მონაცემთა შეგროვებისას გათვალისწინებულ იქნა ეთიკის სახელმძღვანელო პრინციპები - მათ შორის, რესპონდენტთა კონფიდენციალობის უზრუნველყოფა სავლელ კვლევის და მონაცემთა შეგროვების ყველა საფეხურზე. მონაცემთა კონფიდენციალობა უზრუნველყოფილ იქნა პიროვნების საიდენტიფიკაციო ნიშნების მოშორებით ინტერვიუების შეჯამებებიდან და საბოლოო ანგარიშიდან. მათი იდენტობის ამსახველი ჩანაწერები ძირითადი ინფორმანტების ინტერვიუებისა და მათი შეჯამებებისგან განცალკევებით იქნა შენახული. ნედლი მონაცემები არ შეიცავს რესპონდენტთა ვინაობის გამამჟღავნებელ ინფორმაციას. თუმცა, რადგან პოლიტიკის თითოეული დოკუმენტის საკონტაქტო პირების ვინაობა კარგად იყო ცნობილი პასუხისმგებელი ინსტიტუციებისთვის, რესპონდენტთა კონფიდენციალობის სრული დაცვა, მაკოორდინირებელი საჯარო უწყებების შემთხვევაში, რთული იყო. მკვლევართა გუნდმა ყველა ღონეს მიმართა ამგვარი რისკების შემსუბუქებისა და მაქსიმალურად შემცირებისათვის.

### შეზღუდვები

კვლევას გარკვეული შეზღუდვები გააჩნდა, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანი იყო მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფეხურზე.

**შეზღუდვა 1:** კვლევის ვადებიდან გამომდინარე, საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საზოგადოებრივი მონაწილეობის შინაარსიანობასა და ხარისხზე ობიექტური დაკვირვება შესაძლებელი არ იყო. შესაბამისად, კვლევის დიზაინი მეტწილად გულისხმობს საჯარო კონსულტაციის მონაწილეთა მიერ მონაწილეობის შინაარსიანობის სუბიექტურ შეფასებას.

**შეზღუდვა 2:** კვლევა რეტროსპექტულ მიდგომაზე დაყრდნობით ჩატარდა - ე.ი., რესპონდენტებს უნდა გაეხსენებინათ ინფორმაცია ინტერვიუმდე რამდენიმე თვით ადრე ჩატარებული ღონისძიების შესახებ. ბევრ შემთხვევაში, რესპონდენტები ვერ იხსენებდნენ საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებულ ზოგიერთ დეტალს, რასაც შესაძლოა, გავლენა მოეხდინა შეგროვებული მონაცემების ხარისხზე.

**შეზღუდვა 3:** კვლევა მხოლოდ იმ სუბიექტებს მოიცავდა, რომლებიც საჯარო კონსულტაციებში უშუალოდ მონაწილეობდნენ. ამრიგად, კვლევაში არ ფიგურირებს იმ პირთა პერსპექტივა, რომელთაც კონსულტაციებში მონაწილეობა სურდათ, თუმცა, ამა თუ იმ მიზეზით, ეს ვერ შეძლეს. ამ რესპონდენტთა მოცვა კვლევას საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისა და ანონსირების ეტაპების შესახებ ნიშანდობლივი მიგნებებით გაამდიდრებდა.

**შეზღუდვა 4:** კოვიდ-19-ის გამო, მაკოორდინირებელი უწყებები იძულებულნი იყვნენ, საჯარო კონსულტაციის პროცესი ამა თუ იმ ფორმით შეეზღუდათ, ან შეეცვალათ. შესაბამისად, შეფასების შედეგები შესაძლოა კოვიდ-19-თან დაკავშირებულ სპეციფიკურ სიტუაციას ასახავდეს.

**შეზღუდვა 5:** ბევრ შემთხვევაში, მკვლევართა გუნდს არ ჰქონდა წვდომა საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა სრულ სიაზე. შესაბამისად, მკვლევრებს რესპონდენტების შერჩევისას, ხშირად, შერჩევის მოხერხებულობის პრინციპით უწევდათ მუშაობა. ამრიგად, კვლევის შედეგები შესაძლოა არ ასახავდეს საჯარო კონსულტაციებში ჩართული ყველა პირის მოსაზრებას და მათი სხვა ვითარებაზე განზოგადება, სავარაუდოდ, არ იქნება შესაძლებელი.

**შეზღუდვა 6:** პროექტისათვის განსაზღვრული დროის ჩარჩოს გათვალისწინებით, მკვლევართა გუნდს ინფორმაციის შეზღუდულ წყაროებზე (ინტერვიუებზე) დაყრდნობა უწევდა, რამდენადაც საჯარო კონსულტაციათა შემატყობველი ანგარიშები არ იყო ხელმისაწვდომი.

## ანალიზი

კვლევის ძირითადი მიზნები საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) კრიტერიუმების მიხედვით არის წარმოდგენილი. ანალიზი მიჰყვება იმ სამი მთავარი ფაქტორის შესახებ დისკუსიას, რომლებიც საჯარო კონსულტაციის ეფექტურ დაგეგმვასა და იმპლემენტაციას განაპირობებს და შემდეგ, PCI-ს თითოეულ კრიტერიუმს აფასებს. პირველი ხუთი კრიტერიუმი საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობას, ღიაობას, ეფექტურობას, ანგარიშვალდებულებასა და საზოგადოების ინკლუზიას მიემართება. უკანასკნელი კრიტერიუმი საჯარო კონსულტაციებში საზოგადოების ჩართულობასა და დაინტერესებულ აფასებს.

ძირითადი მიზნების წარდგენამდე, ხაზი უნდა გაესვას რამდენიმე სირთულეს, რომელსაც მკვლევართა გუნდი სავლელე კვლევის მომზადებისას და მის განმავლობაში წააწყდა. ეს სირთულეები დამატებით ინფორმაციას გვაძლევს ისეთი ასპექტების შესახებ, როგორცაა მაკოორდინირებელ უწყებათა ღიაობა, ხელმისაწვდომობა, თანამშრომლობა და პოლიტიკური ნება.

- რამდენიმე მაკოორდინირებელმა უწყებამ მკვლევართა გუნდთან კომუნიკაციისას ბიუროკრატიული დაბრკოლებები შექმნა, მოითხოვდნენ რა ოფიციალურ, ხელმოწერილ კორესპონდენციას ნებისმიერ საკითხზე (ე.ი., ელექტრონული ფოსტით გაგზავნილ შეტყობინებებს არ პასუხობდნენ), მათ შორის, მაშინაც, როცა გუნდი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას ცდილობდა.
- ცალკეულმა საჯარო მოხელეებმა თანამშრომლობისადმი ღიაობის ნაკლებობა გამოამჟღავნეს - მაგალითად, ინტერვიუს დრო და თარიღი რამდენჯერმე შეცვალეს, განაცხადეს, რომ ამისათვის არ ეცალათ, ან შეთანხმებულ დროს არ გამოცხადდნენ ისე, რომ ამის შესახებ მკვლევრისათვის წინასწარ არ შეუტყობინებიათ.
- საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა სრული სიის მოპოვება რთული იყო, რადგან ბევრ შემთხვევაში, მაკოორდინირებელი უწყებები უარს აცხადებდნენ მათ გაზიარებაზე და მიზებად პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა მოჰყავდათ, ან მხოლოდ რამდენიმე შერჩეული მონაწილის შესახებ გვიზიარებდნენ ინფორმაციას.
- მკვლევართა გუნდს არ ჰქონდა წვდომა საჯარო კონსულტაციების 12 შემაჯამებელი ანგარიშიდან 7-ზე, რადგან მაკოორდინირებელი უწყება არ არის ვალდებული, შემაჯამებელი ანგარიში გაასაჯაროვოს იქამდე, სანამ პოლიტიკის დოკუმენტს მთავრობა ოფიციალურად არ დაამტკიცებს. თუმცა, არცერთი წესი არ უკრძალავს საჯარო უწყებას გამოთხოვის შემთხვევაში, ანგარიშის გაზიარებას (თუკი ასეთი არსებობს). მკვლევართა გუნდის მიერ მოპოვებული 5 შემაჯამებელი ანგარიშიდან მხოლოდ 3 გამოქვეყნდა დამტკიცებულ სტრატეგიებთან ერთად. დანარჩენი 2 გუნდმა გამოთხოვის საფუძველზე მიიღო.
- მაკოორდინირებელ უწყებებში მენეჯმენტის ცვლილებამ გამოიწვია ორგანიზაციაში პროცედურების შეცვლა. შესაბამისად, რესპონდენტებთან ინტერვიუს დროზე შეთანხმება რთული იყო, რადგან მათი თქმით, ისინი ძალზე დაკავებულები იყვნენ და გარდა ამისა, ყველა დეტალი ხელმძღვანელობასთან უნდა შეეთანხმებინათ.

## საჯარო კონსულტაციების ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება

რამდენადაც საჯარო კონსულტაცია გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტიანობის, ეფექტურობისა და გამჭვირვალობის ერთ-ერთ კრიტიკულ მარეგულირებელ ინსტრუმენტად მიიჩნევა, მას მრავალი გამოწვევა ახლავს თან. საჯარო კონსულტაციების ეფექტური დაგეგმვა და განხორციელება მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა მაკოორდინირებელი უწყებების მიერ გზამკვლელებისა და კარგი პრაქტიკების ცოდნას, მაკოორდინირებელი უწყებების პოლიტიკურ ნებასა და დონორთა მხარდაჭერას.

გზამკვლელებისა და კარგი პრაქტიკების ცოდნა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საჯარო კონსულტაციების ხარისხზე. მაკოორდინირებელი უწყებების ზოგიერთ წარმომადგენელს მოცემული საკითხის შესახებ ყოვლისმომცველი ტრენინგი ჰქონდა გავლილი, თუმცა, სხვებს ძალზე შეზღუდული წარმოდგენა გააჩნდათ „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესებსა და პროცედურებში“ (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილება) განერილ ახალ რეგულაციებზე.

გარდა ამისა, მაკოორდინირებელ უწყებებს სხვადასხვაგვარი მოლოდინები აქვთ და სხვადასხვაგვარად ესმით, რა შედეგი მოაქვს წარმატებული საჯარო კონსულტაციის ჩატარებას. კვლევამ დაადგინა, რომ მაკოორდინირებელი უწყებები ხშირად ვერ ასხვავებდნენ დაინტერესებულ პირთა ჩართულობასა და საჯარო კონსულტაციას. პრაქტიკაში, დაინტერესებულ პირთა ჩართულობის მასშტაბი უფრო მცირეა. ის მხოლოდ კონკრეტული სამიზნე აუდიტორიის მონაწილეობას გულისხმობს, როგორცაა სამთავრობო უწყებები, ბიზნესექტორი, ექსპერტები და ის ორგანიზაციები, რომლებსაც მოცემული საკითხის მიმართ სპეციფიკური და გამოკვეთილი ინტერესი აქვთ. საჯარო კონსულტაციის სამიზნე, კი ყველა მოქალაქეა. შესაბამისად, მოქალაქეთა ინკლუზიური ჩართულობა საჯარო კონსულტაციის საფუძველია.

საზოგადოების ჩართულობის ფორმებს შორის არსებული განსხვავებების შესახებ მწირი ცოდნის გამო, მაკოორდინირებელი უწყებების ბევრი წარმომადგენელი დაინტერესებულ მხარეთა ნებისმიერ მონაწილეობას საჯარო კონსულტაციად მიიჩნევს. მეორე მხრივ, ზოგი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის (CSO) წარმომადგენელი ხაზს უსვამს უფრო ფართო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ მათი წარმოდგენა საჯარო კონსულტაციის შესახებ მაკოორდინირებელი უწყებების მიერ განხორციელებულ საჯარო კონსულტაციებს არ ჰგავს: „ჩვენთვის და მათთვის [მაკოორდინირებელი უწყებისათვის] საზოგადოებრივი ჩართულობა სხვადასხვა რამეს ნიშნავს“, აღნიშნა CSO-ს წარმომადგენელმა.

ამასთან ერთად, მაკოორდინირებელი უწყების რამდენიმე წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ შესაბამისი ექსპერტიზის მქონე ინდივიდებისა და ორგანიზაციების ინფორმირება საკმარისი იყო შინაარსიანი საჯარო კონსულტაციისათვის და უფრო ფართო საზოგადოების ჩართვა საჭირო არ იყო. ზოგიერთმა იმასაც კი გაუსვა ხაზი, რომ ცალკეულ შემთხვევებში, უფრო ფართო საზოგადოების ჩართულობა არ არის კეთილგონივრული, ან აუცილებელი, რადგან საჯარო პოლიტიკის დოკუმენტზე უკუკავშირის მიწოდება ხშირად საკითხში ექსპერტული გათვითცნობიერებისა და ცოდნის გარკვეულ დონეს მოითხოვს:

*შევეცადეთ, ყველაზე რელევანტური აქტორები ჩაგვეერთო. სტრატეგიის ეს დოკუმენტი სპეციფიკურ, ექსპერტულ ცოდნას მოითხოვს. არა მგონია, მოქალაქეთა ჩართულობა ამ შემთხვევაში საჭირო იყოს (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

საჯარო კონსულტაციის მონაწილეთა ერთი ნაწილი კონსულტაციაში შესაბამისი ცოდნის მქონე შეზღუდული აუდიტორიის ჩართულობას საზოგადოებრივი მონაწილეობის მისაღებ ფორმად თვლიდა, თუმცა მონაწილეთა მეორე ნაწილმა საჯარო კონსულტაციის მსგავს ფორმატზე უკმაყოფილება გამოთქვა. მათი თქმით, ასეთი შეზღუდული ფორმის ჩართულობა პროცესიდან ბევრ ისეთ ინდივიდს გამორიცხავს, რომლებსაც პოლიტიკის დოკუმენტის განხილვაში წვლილის შეტანა სურთ:

*ბევრ ჩვენგანს არ ჰქონდა ინფორმაცია სტრატეგიის დოკუმენტის გამოქვეყნებისა და კონსულტაციის ჩატარების შესახებ. ეს ინფორმაცია პროფესიული კონტაქტების გზით, სხვა ორგანიზაციებისგან, ასე ვთქვათ, ზეპირსიტყვიერი ფორმით მივიღეთ. ვერ ვიტყვი, რომ სამინისტრო, უფრო დიდი ჯგუფების ჩართვის მიზნით, ინფორმაციის გავრცელებას აპირებდა. (საჯარო კონსულტაციის მონაწილე)*

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ „საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო“<sup>30</sup> რომელიც საჯარო კონსულტაციების მინიმალურ მოთხოვნებს განსაზღვრავს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და საჯარო კონსულტაციებს მკაფიოდ არ განასხვავებს. მაღალხარისხიანი საჯარო კონსულტაციების ჩატარებისათვის საჭირო სტანდარტთა წყების უფრო ცხადი განსაზღვრება დაეხმარებოდა მაკოორდინირებელ უწყებებს მოქალაქეთა ინკლუზიური ჩართულობის პროცესის უზრუნველსაყოფად დამატებითი ძალისხმევის გამოჩენაში. ამ დროისათვის, „დანართი 11“, რომლის მიზანი მიზნობრივი და საჯარო კონსულტაციებისათვის ყოვლისმომცველი ინსტრუქციების მიწოდებაა, ჯერ არ დამტკიცებულა.

ყოვლისმომცველი ტრენინგი არსებით როლს ასრულებს საჯარო კონსულტაციების წარმატებული განხორციელების საქმეში, თუმცა, მაკოორდინირებელ უწყებათა პოლიტიკურ ნებას ასევე საკვანძო მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა შინაარსიანი და ფართო ჩართულობისათვის. შესაბამისად, უწყებათა პოლიტიკური ნება საჯარო კონსულტაციების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიტიკური ნება, რომელიც გამოიხატება მაღალხარისხიანი საჯარო კონსულტაციების განხორციელების პროცესის თავდადებულ მხარდაჭერაში, რელევანტურია როგორც კოლექტიურ, ისე - ინდივიდუალურ დონეზე. კოლექტიური დონე გულისხმობს სამთავრობო უწყების მზაობაში, გამოყოს საკმარისი ადამიანური რესურსი და მხარი დაუჭიროს თანამშრომლებს პროცესის განმავლობაში. მაკოორდინირებელი უწყების პასუხისმგებლობაა, შექმნას ხელშემწყობი გარემო, რათა გააძლიეროს ინდივიდების თავდადება საჯარო კონსულტაციების წარმატებით განხორციელებისადმი.

ინდივიდუალურ დონეზე, „პოლიტიკური ნების“ ცნება გულისხმობს ინდივიდების მზაობას, რომელიც ასახავს მათ ღირებულებებს, პრიორიტეტებსა და თავდადებას სასურველი შედეგების მისაღწევად. ისეთ კონტექსტში, როცა მოქალაქეთა ჩართულობის თვალსაზრისით, ინსტიტუციებს არაქვთ მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტები, გადაწყვეტილების ინდივიდუალურ მიმღებთა და სამთავრობო

30 Policy Planning, Monitoring and Evaluation Handbook, Administration of the Government of Georgia, Section 3.5, pg. 36-37. [https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic\\_governance/PolicyDevelopmentHandbook.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/PolicyDevelopmentHandbook.html) last accessed on 30/11/20.



უნყების თანამშრომელთა ნებამ არსებითი როლი შეიძლება ითამაშოს. მაკოორდინირებელ უწყებებში ინსტიტუციური ძალისხმევის სიმწირის კრიტიკის მიუხედავად, საჯარო კონსულტაციების ზოგიერთმა მონაწილემ რამდენიმე ცალკეული თანამშრომლის თავდადებას გაუსვა ხაზი: „გამიკვირდა კიდევ, როგორ მოახერხა ამ ორმა-სამმა თანამშრომელმა ასეთი კოლოსალური საქმის გაკეთება“, აღნიშნა CSO-ს წარმომადგენელმა.

მონაცემები აჩვენებს, რომ საჯარო კონსულტაციის მონაწილეები დადებითად აფასებდნენ, როცა მაკოორდინირებელი უწყებები ფართო აუდიტორიასთან დასაკავშირებლად დამატებით ძალისხმევას მიმართავდნენ. მაკოორდინირებელი უწყებების მიერ ძლიერი პოლიტიკური ნების გამოხატვამ CSO-ების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების მოტივაციისა და ინტერესის გაძლიერებაშიც შეიტანა წვლილი:

*მათი დამოკიდებულება და ძალისხმევა სანაქებო იყო. ვხედავდი, როგორ ცდილობდნენ ყველა დაინტერესებულ პირთან დაკავშირებას და ჩართვას (საჯარო კონსულტაციის მონაწილე).*

*ყველა ღონეს მივმართეთ - დანყებული რეკვით, ადგილზე სტუმრობით, იმეილების გზავნით, დამთავრებული - საერთო მეგობრებისა და ნაცნობების გამოყენებით. ყველაფერი ვცადეთ, რომ [საჯარო კონსულტაციის პოტენციურ მონაწილეებს] წაეკითხათ პოლიტიკის დოკუმენტი და უკუკავშირი მოეწოდებინათ (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

მეორე მხრივ, რამდენიმე მონაწილემ ხაზგასმით აღნიშნა სამთავრობო ინსტიტუციებს შორის პოლიტიკური ნების არარსებობა. მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან ძალისხმევის არარსებობის პირობებში, CSO-ების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში წვლილის შეტანა რთული იყო:

*იმის მაგივრად, რომ [მაკოორდინირებელი უწყებები] დაგვკავშირებოდნენ და უკუკავშირი ეთხოვათ, ათზე მეტჯერ აქეთ დავურეკეთ, მივწერეთ და ვთხოვეთ, ჩვენი კომენტარები გაეთვალისწინებინათ. ბევრი სხვა ორგანიზაცია ფარ-ხმალს დაყრიდა, მაგრამ ჩვენ არ დავნებდით და მაინც ვცდილობდით (საჯარო კონსულტაციის მონაწილე).*

შეჯამებისათვის, ინტერვიუებიდან მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ სამთავრობო ინსტიტუციებისა და ცალკეული თანამშრომლების პოლიტიკურ ნებას მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლია შეიტანოს საჯარო კონსულტაციების ხარისხის გაუმჯობესებაში. ისეთი ორგანიზაციული კულტურის შექმნა, რომელიც მხარს დაუჭერს თანამშრომლების ძალისხმევას, პოლიტიკური ნების გამოხატულებაა. თავის მხრივ, ძლიერი პოლიტიკური ნება, რომელიც გამოიხატება ეფექტური საჯარო კონსულტაციის ჩატარებისადმი თავდადებაში, არსებით როლს ასრულებს შინაარსიანი ჩართულობისა და გადაწყვეტილების მონაწილეობის გზით მიღების საქმეში. თუმცა, ზოგჯერ, მატერიალური რესურსებისა და ექსპერტიზის სიმწირის ვითარებაში, მხოლოდ პოლიტიკური ნება არ კმარა. ამ სირთულეების გადალახვისათვის მნიშვნელოვანი ხდება დონორთა მხარდაჭერა.

დონორების მხარდაჭერა, შეიძლება, ინსტრუმენტული დამხმარე იყოს საჯარო პოლიტიკის რეფორმისათვის და ის საჯარო კონსულტაციების ხარისხის გამაუმჯობესებელ კიდევ ერთ ფაქტორს წარმოადგენს. ამ კვლევაში განხილული საჯარო კონსულტაციების ნახევარზე მეტმა ამა თუ იმ ფორმით, დონორთა მხარდაჭერა მიიღო. ზოგ შემთხვევაში, დონორები უწყებებს ექსპერტულ ცოდნასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დახმარებას სთავაზობდნენ, სხვა შემთხვევებში კი - ფინანსურ რესურსებს.

მაკოორდინირებელ უწყებათა წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დონორების უწყვეტი მხარდაჭერა მათ უფრო ფართო საზოგადოებასთან დაკავშირებაში, კონსულტაციების რეგიონებში ჩატარებაში, შეხვედრათა სხვადასხვა ფორმატის კომბინირებაში და უცხო ენებზე თარგმანის უზრუნველყოფაში ეხმარება, რითაც მონაწილეობის უფრო ინკლუზიურ პროცესს უწყობს ხელს:

*დონორების მხრიდან მრავალი წლის მანძილზე გვექონდა უწყვეტი მხარდაჭერა და ძალიან მადლიერები ვართ. იმედი მაქვს, მომავალშიც გვექნება მათი ხელშეწყობა. სხვანაირად, პროცესის მართვა რთული, თითქმის შეუძლებელი იქნება (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

მეორე მხრივ, ზოგ მაკოორდინირებელ უწყებას, რომელსაც დონორების მხარდაჭერა არ ჰქონდა, საჯარო კონსულტაციების წარმატებით განსახორციელებლად უფრო ნაკლები რესურსები და ფინანსები ჰქონდა. შესაბამისად, შეზღუდული ბიუჯეტი მათ დაბრკოლებას უქმნიდა:

*სამთავრობო უწყებებს კომუნიკაციების განსახორციელებლად შეზღუდული ბიუჯეტი აქვთ გამოყოფილი (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

თუმცა, რამდენადაც დონორთა მხარდაჭერა მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეთა მობილიზაციისა და უწყვეტი ძალისხმევისათვის, ის ხარისხიანი საჯარო კონსულტაციების გარანტიას არ წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ დონორები მართლაც აწვდიდნენ უწყებებს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას, ზოგ მაკოორდინირებელ უწყებას მაინც მწირი შესაძლებლობები ჰქონდა ინკლუზიური და შინაარსიანი საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფისათვის.

*მიუხედავად იმისა, რომ დონორი გვეხმარებოდა, ყველასთან უხარვეზო კომუნიკაციის წარმოება მაინც რთული იყო (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

რომ შევაჯამოთ, ეფექტური და შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად სათანადო ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსებია საჭირო. ამასთან, მაკოორდინირებელი უწყებების თანამშრომლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სათანადო გზამკვლევებსა და ტრენინგებზე, რასაც უნდა ემატებოდეს ძლიერი ინსტიტუციური მხარდაჭერა, რომელიც გამოიხატება ისეთი ორგანიზაციული კულტურის ხელშეწყობაში, რომელიც თანამშრომლების ძალისხმევას უმაგრებს ზურგს.

სირთულეები, შესაძლოა, სხვადასხვა ობიექტურ მიზეზს - მაგალითად, COVID-19-ის პანდემიას - უკავშირდებოდეს, თუმცა, ხარისხიანი საჯარო კონსულტაციების ჩატარების უუნარობა ხშირად მაკოორდინირებელ უწყებათა პოლიტიკური ნების სიმწირეს ასახავს. ამასთან, მაკოორდინირებელ უწყებათა მხრიდან ინკლუზიური და შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების უზრუნველყოფისადმი მზაობის გარეშე, დონორთა მხარდაჭერას აზრი ეკარგება. მეტიც, როცა მაკოორდინირებელ უწყებათა წარმომადგენლებს აკლიათ გადაწყვეტილების მონაწილეობით მიღების კარგი პრაქტიკების შესახებ ცოდნა, მზაობისა და თავდადების შემთხვევაშიც კი, ხარისხიანი საჯარო კონსულტაციების ჩატარებას ნაკლებად ახერხებენ. ამრიგად, სამივე ფაქტორს - საზოგადოებრივი ჩართულობის კარგი პრაქტიკების ცოდნას, მაკოორდინირებელ უწყებათა პოლიტიკურ ნებასა და დონორთა მხარდაჭერას - უერთიერთგანმამტკიცებელი ეფექტი აქვს, მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ და წვლილი შეაქვთ გადაწყვეტილების მიღების შინაარსიან და ეფექტურ, ქვევიდან ზევით მიმართულ პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორები ამომწურავი არ არის და კონტექსტის მიხედვით, შეიძლება



სახეზე გვექონდეს სხვა ცვლადებიც, ისინი დიდ გავლენას ახდენენ საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობაზე, ღიაობაზე, ეფექტურობაზე, ანგარიშვალდებულებაზე და ინკლუზიურობაზე. საჯარო კონსულტაციების თითოეული ასპექტი შემდგომში უფრო დეტალურად არის განხილული.

## 1. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობა

შინაარსიანი მონაწილეობა და საჯარო კონსულტაციების ეფექტური შედეგები პროცესის საყოველთაო ხელმისაწვდომობას მოითხოვს, მათ შორის - ხელმისაწვდომობას საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივ NGO-თა ექსპერტებისა და რიგითი მოქალაქეებისათვის. საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) პირველი კრიტერიუმი ხელმისაწვდომობაა, რომელიც შვიდ ინდიკატორად იყოფა. ეს კრიტერიუმი გულისხმობს ფართო საზოგადოების წვდომას საჯარო კონსულტაციის შესახებ გავრცელებულ განცხადებასთან და პოლიტიკის დოკუმენტთან/პოლიტიკის რეზიუმესთან.

დაგეგმილი საჯარო კონსულტაციის შესახებ ინფორმაციის ისე განთავსება, რომ დაინტერესებული პირებს მისი პოვნა არ გაუჭირდეთ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ფართო საზოგადოების ჩართვის პირველი ნაბიჯია. ხელმისაწვდომობის კრიტერიუმის პირველი ინდიკატორი აფასებს საჯარო უწყების ძალისხმევას საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადების მრავალი საკომუნიკაციო არხის მეშვეობით გასავრცელებლად. დაგეგმილი საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადებები შეიძლება, სხვადასხვა ონლაინ (მაგ., უწყების ოფიციალური ვებსაიტი, უწყების სოციალური მედიის გვერდი, ონლაინ მედია), ან ტრადიციული მედიის (გაზეთი, ტელევიზია, ბროშურა, ბანერი) საშუალებით გავრცელდეს. აღსანიშნავია, რომ განცხადების ელექტრონული ფოსტით გაგზავნა მხოლოდ პოტენციურ დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო გავრცელების ფორმად არ უნდა ჩაითვალოს.

განცხადებები უმეტესად, ელფოსტით, სამთავრობო უწყების ვებგვერდზე და ფეისბუკ გვერდებზე ვრცელდებოდა. თუკი განცხადება საჯარო არხით ქვეყნდებოდა, მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ უწყებათა უმეტესობას არ ჰქონდა საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები, ისინი არ მიმართავდნენ დამატებით ძალისხმევას განცხადების გასავრცელებლად და ფართო საზოგადოებასთან დასაკავშირებლად. ამრიგად, მათ კონსულტაციების შესახებ განცხადებები საჯარო არხებით არ გავრცელებიათ. უმეტესობამ არჩია, განცხადებები ელექტრონული ფოსტით გაეგზავნა კონკრეტული სამიზნე აუდიტორიისათვის - მაგალითად, ექსპერტების, ორგანიზაციებისა და სხვა სამთავრობო უწყებებისათვის. დახურული საჯარო კონსულტაციები იმიტომ არჩიეს, რომ ზოგი მაკოორდინირებელი უწყება ზედმეტად თვლიდა ისეთი ფართო აუდიტორიის ჩართვას, რომელსაც განსახილველი პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ ექსპერტიზა, ან სპეციფიკური ცოდნა არ გააჩნდა. შედეგად, ისინი მხოლოდ შესაბამისი ექსპერტიზისა და ცოდნის მქონე დაინტერესებულ მხარეებს დაუკავშირდნენ. მთლიანობაში, თორმეტი მაკოორდინირებელი უწყებიდან შვიდი 0 ქულით შეფასდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადება მათ სულ ცოტა, ერთი საჯარო არხის მეშვეობითაც არ გავრცელებიათ.

მეორე ინდიკატორი აფასებს, რამდენად გახდა პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის მოკლე აღწერა საჯაროდ ხელმისაწვდომი, ან რამდენად შეეძლო დაინტერესებულ პირს/

ორგანიზაციას მისი მარტივად და სწრაფად მოპოვება მაკოორდინირებელი უწყებისაგან. იდეალურ შემთხვევაში, პოლიტიკის დოკუმენტი ან მისი რეზიუმე უწყების ვებსაიტზე იტვირთება, ან თან ერთვის საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადებას.

საჯარო განცხადებებისგან განსხვავებით, უმეტეს შემთხვევაში, პოლიტიკის დოკუმენტები, ან რეზიუმეები საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი მაკოორდინირებელ უწყებათა ვებგვერდებზე. ზოგ შემთხვევაში, პოლიტიკის დოკუმენტები ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი პირისა თუ ორგანიზაციისთვის. სხვა შემთხვევებში, პოლიტიკის დოკუმენტები თუ მათი რეზიუმეები საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადებებს თან ერთვისოდა, ან ატვირთული იყო უწყების ოფიციალურ ვებგვერდზე. მთლიანობაში, ამ ინდიკატორის მიხედვით, მაკოორდინირებელ უწყებათა დიდმა უმრავლესობამ მინიმალურ მოთხოვნაზე მაღალი შეფასება მიიღო.

გარდა ამისა, მოქალაქეთა ჩართულობის პროცესის ინკლუზიურობისათვის მნიშვნელოვანია, რომ როგორც ორგანიზაციებს, ისე - რიგით მოქალაქეებს, რომელთაც საჯარო კონსულტაციაში მონაწილეობა სურთ, პოლიტიკის შინაარსის გაგება და მასზე უკუკავშირის ექსპერტული ცოდნის გარეშე მიწოდება შეეძლოთ. მესამე ინდიკატორი აფასებს, იყო თუ არა ხელმისაწვდომი პოლიტიკის დოკუმენტი, ან/და რეზიუმე მარტივ ენაზე და იოლად გასაგებ ფორმატში. განსაკუთრებით მაშინ, როცა პოლიტიკის დოკუმენტის გაგება სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს, მაკოორდინირებელმა უწყებამ უნდა მოამზადოს პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე მოკლე აღწერა მარტივ ენაზე. ეს ინდიკატორი შეფასდა მაკოორდინირებელ უწყებათა წარმომადგენლებისა და საჯარო კონსულტაციების მონაწილეების პასუხების მიხედვით.

მონაცემების მიხედვით, პოლიტიკის დოკუმენტების უმეტესობა არ იყო დაწერილი მარტივი ენით, ან იოლად გასაგებ ფორმატში. თუმცა, ზოგი CSO-ს წარმომადგენელი ამას პრობლემად არ მიიჩნევდა და თვლიდნენ, რომ საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობის მისაღებად ექსპერტული ცოდნა აუცილებელი იყო.

ამის საპირისპიროდ, CSO-ების და მაკოორდინირებელი უწყებების რამდენიმე წარმომადგენელი თვლის, რომ საზოგადოების უფრო ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა და პოლიტიკის დოკუმენტების გასაგებ ენაზე ფორმულირება აუცილებელია. თუმცა, ზოგჯერ ამის მიღწევაში სხვადასხვა დაბრკოლება უშლით ხელს, მათ შორის - შეზღუდული დრო და ბიუჯეტი:

*გვინდოდა, მოკლე ვიდეოები და ანიმაციებიც მოგვემზადებინა, რომ ახალგაზრდებს პოლიტიკის დოკუმენტის უკეთ გაგებაში დაეხმარებოდათ. ეს მომხმარებელზე მორგებული ფორმატები მნიშვნელოვანია, მაგრამ დამატებით რესურსს მოითხოვს (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

გარდა ამისა, საჯარო კონსულტაციების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოწყვლადი და არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფების მონაწილეობა. მაგალითად, იმისათვის, რომ პოლიტიკის შექმნის პროცესში არასაკმარისად წარმოდგენილი უმცირესობების ჯგუფების ჩართულობა იყოს უზრუნველყოფილი, საჯარო განცხადება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოში მცხოვრები ძირითადი ეთნიკური უმცირესობების ენებზე. შესაბამისად, მეოთხე ინდიკატორი გულისხმობს კონსულტაციების შესახებ განცხადებების ხელმისაწვდომობას, ხოლო მეხუთე - პოლიტიკის დოკუმენტების, ან რეზიუმეების ხელმისაწვდომობას.

საჯარო კონსულტაციების ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისათვის ის სფეროა, სადაც მაკოორდინირებელმა უწყებებმა PCI-ით განერილი მინიმალური სტანდარტები ვერ დააკმაყოფილეს. ეროვნული ინტეგრაციისა და შერიგების სამინისტრომ ამ ინდიკატორში ყველაზე მაღალი შეფასება ნაწილობრივ იმიტომ მიიღო, რომ თავად პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ეთნიკურ უმცირესობებს სამიზნე ჯგუფად:

*სტრატეგიას „სამოქალაქო ინტეგრაცია და თანასწორობა“ ეწოდება. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს გამოვყოფთ. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები განსაკუთრებით აქტიურად იყვნენ ჩართულები (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

გარდა ამისა, ხელმისაწვდომი მონაცემები აჩვენებს, რომ საჯარო განცხადებები და პოლიტიკის დოკუმენტები ეთნიკური უმცირესობების სულ ცოტა, ერთ ენაზე მაინც, მხოლოდ ორ შემთხვევაში ითარგმნა. ამასთან, პოლიტიკის ერთი დოკუმენტი ინგლისურად ითარგმნა, რადგან მაკოორდინირებელი უწყება მჭიდროდ თანამშრომლობდა საერთაშორისო დონორებთან. სხვა შემთხვევებში, ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა უფრო სპორადულ ხასიათს ატარებდა, მაგალითად, შეხვედრების დროს, მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლები თანახმა იყვნენ რუსულ ენაზე გაკეთებული კომენტარების მიღებაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავად პოლიტიკის დოკუმენტი არ იყო თარგმნილი აღნიშნულ ენაზე.

მეექვსე და მეშვიდე ინდიკატორები მიზნად ისახავს PCI-ს მიახლოებას საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან და აფასებს, რამდენად ადაპტირდა საჯარო განცხადება და პოლიტიკის დოკუმენტი/რეზიუმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პოლიტიკის შექმნის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, პოლიტიკის დოკუმენტები და საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებები მათი საჭიროებებისათვის უნდა იყოს ადაპტირებული. მაგალითად, განცხადება უნდა დაიბეჭდოს ბრაილის შრიფტით, ან ხელმისაწვდომი იყოს მისი აუდიოვერსია, ვიდეო/აუდიო კლიპს შეიძლება ერთვოდეს თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.

ერთადერთი მაკოორდინირებელი უწყება, რომელმაც დამატებითი ნაბიჯები გადადგა შშმ პირების ინკლუზიის უზრუნველსაყოფად, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო იყო. ერთ შემთხვევაში, პოლიტიკის დოკუმენტი შშმ პირების სპეციალურ საჭიროებებს ეხებოდა, მაგრამ არც შშმ პირები მიუწვევიათ საჯარო კონსულტაციებზე და არც კონსულტაციის პროცესი იყო ადაპტირებული:

*შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ მოგვინვევია. თუმცა, სტრატეგია მათ სპეციალურ საჭიროებებს შეეხება. მათი საჭიროებები ვიცით. შესაბამისად, ეს საკითხები ახალ სტრატეგიაში შედიოდა (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

ასეთი მიდგომა, როცა სამიზნე აუდიტორია გამოირიცხება შინაარსის განხილვის პროცესიდან, მნიშვნელოვნად აბრკოლებს საჯარო კონსულტაციების მთავარი მიზნის მიღწევას და გადაწყვეტილების მიღების პროცესს. საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა ჩართულობისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მნიშვნელობა უფრო დანვრისგან შემდგომ ანალიზში, PCI-ს კრიტერიუმ „მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის“ ნაწილშია მოცემული.

შეჯამებისათვის, მაკოორდინირებელ უწყებათა უმრავლესობას არ გაუვრცელებია საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებები საჯარო არხებით, რის გამოც საჯარო კონსულტაციები მხოლოდ მონვეული დაინტერესებული პირების ჩართულობით შემოიფარგლა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკის დოკუმენტების დიდი ნაწილი სამთავრობო ვებგვერდებზე გამოქვეყნდა, თუმცა დაგეგმილი საჯარო კონსულტაციების შესახებ ინფორმაციის გარეშე. ფართო საზოგადოების ჩართვისათვის განუული ძალისხმევის სიმწირესთან ერთად, კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენდა პოლიტიკის დოკუმენტის ენობრივი ხელმისაწვდომობა. საშუალოდ, მაკოორდინირებელმა უწყებებმა მხოლოდ მინიმალური სტანდარტები დააკმაყოფილეს. მეტიც, საჯარო კონსულტაციის პროცესისადმი ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების წვდომა ის სფერო იყო, სადაც მაკოორდინირებელი უწყებების დიდმა ნაწილმა საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) ხელმისაწვდომობის კრიტერიუმში მინიმალური მოთხოვნებიც კი ვერ დააკმაყოფილა.

მონაცემები აჩვენებს, რომ ზოგიერთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ გადაწყვეტილების მიღების პროცესის შინაარსიანობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, თუმცა საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობა პრობლემად რჩება. ასევე, მეტი ძალისხმევაა საჭირო ფართო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ეს გულისხმობს მოსახლეობის მონყვლადი ჯგუფების ჩართულობას, რომელთა ხმა არასათანადოაა წარმოდგენილი და რომელთაც გადაწყვეტილების მიღების პროცესზე შეზღუდული წვდომა აქვთ. კრიტერიუმ 1-ის შეფასება თითოეული ინდიკატორის მიხედვით ცხრილ 3-ში არის მითითებული.

### ცხრილი 3. შეფასება – ხელმისაწვდომობა

კრიტერიუმი I: ხელმისაწვდომობა	0.7
1.1. საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადება სულ ცოტა, ერთი საზოგადოებრივი არხით მაინც იქნა გავრცელებული.	0.8
1.2. პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე საჯაროდ ხელმისაწვდომად იქნა განთავსებული	1.9
1.3. პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე ხელმისაწვდომია მარტივ ენაზე, ადვილად გასაგებ ფორმატში და მათი გაგება შეუძლიათ პირებს, რომლებსაც სფეროს ექსპერტული ცოდნა არ გააჩნიათ.	1
1.4. საჯარო განცხადება ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისათვის (ხელმისაწვდომი იყო აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0.4
1.5. პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე ხელმისაწვდომი იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებისათვის (ხელმისაწვდომი იყო აზერბაიჯანულ, სომხურ და აფხაზურ ენებზე)	0.3
1.6. საჯარო განცხადება ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (ბრაილის შრიფტი, აუდიოვერსია, თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.)	0.2
1.7. პოლიტიკის დოკუმენტი/პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე ადაპტირებული იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის (ბრაილის შრიფტი, აუდიოვერსია, თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.)	0.3

## 2. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციების პროცესის ღიაობა

მეორე კრიტერიუმი საჯარო კონსულტაციის პროცესის ღიაობას ეხება. პირველი ინდიკატორი აფასებს, რამდენად აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს თუ ორგანიზაციას საჯარო კონსულტაციაში ჩართვის შესაძლებლობა. ეს ნიშნავს, რომ საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობა არ შემოიფარგლება პოტენციური დაინტერესებული მხარეებითა და სფეროს ექსპერტებით.

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა საჯარო პოლიტიკის რეფორმის (PAR) ერთ-ერთი მთავარი მიზანია, მხოლოდ რამდენიმე მაკოორდინირებელმა უწყებამ გაუსვა ხაზი მათ მზაობას საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში რიგითი მოქალაქეების ჩართვისადმი. ამ ინდიკატორში საჯარო კონსულტაციების უმეტესობამ PCI-ს მხოლოდ მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილა, რაც იმას გულისხმობს, რომ საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობა ღია იყო მხოლოდ ექსპერტების, საერთაშორისო და თემატური ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის. ჩართულობა მხოლოდ მაკოორდინირებელი უწყებების მიერ მოწვევის საფუძველზე იყო შესაძლებელი და ფართო საზოგადოება პროცესში არ იყო ჩართული. საჯარო კონსულტაციების რამდენიმე მონაწილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა CSO-ების ჩართულობისადმი შერჩევითი მიდგომა არ უნდა გამოიჩინონ:

*სამინისტრო არ უნდა იყოს სელექციური, პროცესში მხოლოდ სპეციფიკურ ორგანიზაციებს არ უნდა რთავდეს და პარტნიორობა ქეშმარიტი უნდა იყოს. სტრატეგიული თანამშრომლობისათვის სამინისტროს არც მოქნილობა გააჩნია და არც - სურვილი (საჯარო კონსულტაციის მონაწილე).*

მოქალაქეთა ქეშმარიტი ჩართულობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუკი საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადება საჯაროდ არის ხელმისაწვდომი და თუ მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლები იაზრებენ საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში რიგითი მოქალაქეების ჩართვის მნიშვნელოვნებას:

*ჩვენთვის რიგითი მოქალაქეების მოსაზრებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე - ექსპერტების, არ აქვს მნიშვნელობა, ღრმად იცნობენ ისინი საკითხს თუ - არა. (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი)*

შინაარსიანი სამოქალაქო ჩართულობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საჯარო კონსულტაციების მონაწილეები არამხოლოდ ესწრებოდნენ პროცესს, არამედ - უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობაც ჰქონდათ. საჯარო კონსულტაციების მეორე ინდიკატორი შეეხება იმას თუ, რამდენად ჰქონდა საჯარო კონსულტაციებში ჩართულ პირს შესაძლებლობა, კონსულტაციის ფორმატისაგან დამოუკიდებლად, მიეწოდებინა უკუკავშირი ან კომენტარი საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ. აღნიშნულ ინდიკატორში, მაკოორდინირებელ უწყებათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილა, ან უფრო მაღალი შეფასება მიიღო.

საუკეთესო შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ რიგით მოქალაქეს უნდა შეეძლოს პოლიტიკის დოკუმენტზე უკუკავშირის მიწოდება. თუმცა, რადგან უმეტეს შემთხვევაში საჯარო კონსულტაციებში ჩართულობა NGO-ებითა და ექსპერტებით შემოიფარგლებოდა, რიგით მოქალაქეებს ამის გაკეთების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. რამდენიმე შემთხვევაში, როცა საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადება არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი და მხოლოდ თემატური ორგანიზაციები იყვნენ მონაწილეობისათვის შერჩეულები, ადგილობრივ ორგანიზაციებს მაინც ჰქონდათ შესაძლებლობა,



პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ კომენტარი გაეკეთებინათ, თუკი დაგეგმილი საჯარო კონსულტაციის შესახებ ინფორმაციას სხვა CSO-ებისაგან იღებდნენ (მაგალითად, ზეპირსიტყვიერად, პირადი კავშირების მეშვეობით და ა.შ.).

რომ შევაჯამოთ, საჯარო კონსულტაციების ღიაობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში ქვეყნის სამოქალაქო ჩართულობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მაკოორდინირებელი უწყებების ყველა წარმომადგენელი უსვამდა ხაზს სამოქალაქო ჩართულობისა და მონაწილეობითი დემოკრატიის მნიშვნელობას, მათ უმეტესობას აკლდა კონკრეტული ნაბიჯები იმისათვის, რომ საჯარო კონსულტაციები რიგითი მოქალაქეებისთვის ღია ყოფილიყო. საჯარო კონსულტაციების დახურული ფორმატი, სადაც წინასწარ განსაზღვრული დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ, აფერხებს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას და აბრკოლებს სამთავრობო ინსტიტუციების ღიაობას. მეორე კრიტერიუმის ინდიკატორების მიხედვით შეფასება ცხრილი 4-ში არის მოცემული.

**ცხრილი 4. შეფასება – ღიაობა**

კრიტერიუმი II: ღიაობა	1.6
2.1. ნებისმიერ დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას (CSO-ებს, კერძო სექტორის ორგანიზაციებს, რიგით მოქალაქეებს და ა.შ.) აქვს საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობის შესაძლებლობა.	1.3
2.2. ყველა დაინტერესებულ თუ ჩართულ პირს/ორგანიზაციას აქვს შესაძლებლობა, გააკეთოს კომენტარი/მიანოდოს უკუკავშირი პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ.	1.9

**3. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა**

მესამე კრიტერიუმი საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობას ექვს შესაბამის ინდიკატორზე დაყრდნობით აფასებს. მაკოორდინირებელმა უწყებებმა საჯარო კონსულტაციის პროცესში სხვადასხვა მიდგომა გამოიყენეს და სხვადასხვა სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ, თუმცა, მათმა უმეტესობამ ამოცანა მეტნაკლებად კარგად შეასრულა.

პირველი ინდიკატორი სწავლობს, რამდენად იყო საზოგადოება წინასწარ, დროულად ინფორმირებული საჯარო კონსულტაციის შესახებ. აქ მიზანი განისაზღვრება, როგორც „მოკვლევის რაც შეიძლება, ადრე და ფართოდ დაწყება“, რათა კონსულტაციის პროცესში რაც შეიძლება, მეტი დაინტერესებული მხარე იქნას ჩართული. ეს ინდიკატორი მხოლოდ ონლაინ/პირისპირ შეხვედრების შემთხვევაში შეიძლება გაიზომოს. თუკი საჯარო კონსულტაცია ონლაინ, ან პირისპირ იმართება, წინასწარი შეტყობინების პერიოდი ერთი კვირით განისაზღვრება. ყველა მაკოორდინირებელმა უწყებამ, რომელმაც ღია საჯარო კონსულტაციები ჩაატარა, დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა და საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადებები კონსულტაციების დაწყებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე გავრცელდა. გარდა ამისა, სასურველია, მონაწილეობის შესახებ უკუკავშირის მიღების ბოლო ვადა გახანგრძლივდეს, თუკი პოლიტიკის დოკუმენტისადმი საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია:

*თავდაპირველად, როგორც მთავრობის დადგენილება N629-შია მითითებული, გადავწყვიტეთ, განცხადება სულ ცოტა, ორი კვირით ადრე გავგვერცელებინა. თუმცა, სტრატეგიის დოკუმენტის თემის მიმართ მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ვიფიქრეთ, რომ მონაწილეობის სურვილი*

*უფრო მეტ პირს ექნებოდა. ამიტომ, ბოლო ვადა კიდევ ერთი კვირით გავახანგრძლივეთ (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

მეორე ინდიკატორის მიზანი იმის შეფასებაა, რამდენად საკმარისი იყო საჯარო განცხადებაში მითითებული ინფორმაცია. ამ ინდიკატორის შესაბამისი მონაცემების მოპოვება რთული აღმოჩნდა, რადგან მკვლევართა გუნდს ხელი არ მიუწვდებოდა გაუსაჯაროებელ, მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაზიარებულ განცხადებებზე. ეს ინდიკატორი აფასებდა თუ რამდენად შეესაბამებოდა განცხადებები „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ 3.5 თავში განერილ რეკომენდაციებს. ეს მოთხოვნები მაკოორდინირებელ უწყებებს ავალდებულებს, განცხადებაში შეიტანონ ინფორმაცია საჯარო კონსულტაციის ფორმატის, დროის/თარიღის, ადგილმდებარეობისა თუ ხანგრძლივობის შესახებ; ინფორმაცია პასუხისმგებელი უწყებისა და შესაბამისი საკონტაქტო პირ(ებ)ის შესახებ, ინფორმაცია კონსულტაციის თემისა და მიზნების შესახებ; ინფორმაცია პოლიტიკის დოკუმენტის მონახაზის თუ პოლიტიკის დოკუმენტის შეჯამების გავრცელებისა და მასზე უკუკავშირის მიწოდების მექანიზმების შესახებ.

მეორე ინდიკატორში წარმოდგენილი სტანდარტები ყველა საჯაროდ ხელმისაწვდომმა განცხადებამ დააკმაყოფილა. მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლები, რომლებმაც საჯარო კონსულტაციები ჩაატარეს, კარგად იყვნენ ინფორმირებული მთავრობის დადგენილება N629-ში განერილი მითითებების შესახებ. მიუხედავად ამისა, როცა მაკოორდინირებელი უწყებები კონსულტაციებს მიზნობრივად შემოფარგლავენ და პროცესში დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილების მეშვეობით რთავენ, საჯარო კონსულტაციის მინიმალურ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება პრობლემურია. საზოგადოებრივი ჩართულობის ასეთი ფორმა შესაბამისობის მონიტორინგს ართულებს, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროცესის ღიაობასა და ეფექტურობას და აბრკოლებს რიგითი მოქალაქეების მონაწილეობის შესაძლებლობას.

ამის საპირისპიროდ, მაკოორდინირებელ უწყებათა ზოგიერთმა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკის დოკუმენტების ელექტრონული ფოსტით გაზიარება არ იყო საკმარისი საზოგადოებისაგან შინაარსიანი უკუკავშირის მისაღებად:

*რა თქმა უნდა, შეგვედლო დოკუმენტი მხოლოდ იმეილებზე გავგვგზავნა, ან მარტო ჩვენს ვებგვერდზე დაგვედო და აქტიურ CSO-ებს ენახათ. მაგრამ ვიცოდით, რომ ეს ყოვლისმომცველი არ იქნებოდა და საკმარის უკუკავშირს ვერ მივიღებდით (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

საჯარო კონსულტაციების ფორმატი საზოგადოებრივი მონაწილეობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი კრიტიკული ფაქტორია. საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში ფართო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მაკოორდინირებელმა უწყებებმა საჯარო კონსულტაციების ჩატარების მრავალფეროვან მეთოდებს უნდა მიმართონ. მესამე ინდიკატორი სწორედ ამ ასპექტს შეეხება. საჯარო კონსულტაციების ერთზე მეტი მეთოდის გამოყენებას შეუძლია, დაეხმაროს მაკოორდინირებელ უწყებებს ჩართულობის ზრდასა და პროცესის ეფექტურობის გაძლიერებაში. ამის მისაღწევად საჯარო უწყებებს შეუძლიათ, პროცესის განმავლობაში საჯარო კონსულტაციების რამდენიმე ფორმატს მიმართონ ერთდროულად, მაგალითად: პირისპირ და ონლაინ შეხვედრები, ფოკუს-ჯგუფები, კონფერენციები, ფიზიკური თუ ონლაინ გამოკითხვები, ასევე - კომენტარების ვებგვერდის, ან - სოციალური მედიის მეშვეობით შეგროვება.

მაკოორდინირებელი უწყებების სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო კონსულტაციები მათ სულ ცოტა, ორი ფორმატის გამოყენებით გამართეს. ზოგმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის გამო, ყველა საჯარო კონსულტაცია ონლაინ ფორმატში გადაიტანეს - ონლაინ შეხვედრის, ან წერილობითი უკუკავშირის მიღების ფორმით. რესპონდენტების თქმით, ონლაინ ფორმატის დადებითი მხარე ის იყო, რომ მონაწილეებს ნებისმიერი ადგილიდან - საზღვარგარეთიდანაც კი შეეძლოთ ჩართვა. პროცესის ნაკლი კი, ტექნიკური პრობლემები, და ონლაინ ინსტრუმენტებსა ან/და ინტერნეტთან შეზღუდული წვდომა იყო. გარდა ამისა, რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ პირისპირ, „ოფლაინ“ დისკუსიები შეხვედრების გაცვლის უკეთეს შესაძლებლობას იძლევა.

*პანდემიამ ყველაფერზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. ცხადია, როცა აუდიტორიას პირისპირ აქვს დისკუსია, ეს გაცილებით უფრო კომფორტულია, მოსაზრებების გაცვლა-გამოცვლა უფრო აქტიურად მიმდინარეობს. „ბუმში“ ეს მაინც შესაძლებელია, მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, რომ ასე უფრო რთულია (საჯარო კონსულტაციის მონაწილე).*

მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა რესპონდენტმა ხაზგასმით გამოკვეთა პირისპირ, „ოფლაინ“ ფორმატის უპირატესობა, წარმატებული საჯარო კონსულტაციები ასეთ ფორმატში დამატებით ხარჯებს მოითხოვს. მაკოორდინირებელ უწყებათა რამდენიმე წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რესურსების სიმწირისა და შეზღუდული ფინანსების გამო, კონსულტაციების მხოლოდ ონლაინ ჩატარება შეეძლოთ. მთლიანობაში, ფინანსური დახმარება ფართო საზოგადოების ჩართვის უზრუნველყოფის არსებით წინაპირობად იყო მიჩნეული:

*არა-პანდემიური ვითარება რომ ავიღოთ - ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, დონორების დახმარება, ფინანსური დახმარება და ასევე - საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება დაგვჭირდებოდა (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

მეორე მხრივ, იმ მაკოორდინირებელ უწყებებს, რომელთაც დონორები უჭერდნენ მხარს და საჯარო კონსულტაციების ჩატარებისათვის დამატებითი სახსრები ჰქონდათ გამოყოფილი, კონსულტაციების სხვადასხვა ფორმატით ჩატარება შეეძლოთ - მათ შორის, რეგიონებში ვიზიტისა და სხვადასხვა სივრცეში პირისპირ შეხვედრების გამართვა.

ეფექტური და შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების ჩატარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი უკუკავშირის მოპოვების მრავალფეროვან მექანიზმებს გულისხმობს. ამრიგად, მეოთხე ინდიკატორი აფასებდა თუ, რამდენად უზრუნველყო მაკოორდინირებელმა უწყებამ უკუკავშირისა და კომენტარების შეგროვების ერთზე მეტი მექანიზმი. უკუკავშირი შეიძლება განხორციელდეს წერილობით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, სოციალურ მედიაში თუ ვებგვერდებზე კომენტარების დაწერით; ასევე, ზეპირად, შეხვედრის განმავლობაში, წერილობით, ჩატის, „გუგლის“ ფორმებისა თუ ონლაინ გამოკითხვების სხვა ფორმატების მეშვეობით.

მაკოორდინირებელმა უწყებებმა უკუკავშირის შეგროვებისათვის სხვადასხვა მექანიზმი გამოიყენეს - საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან ოფიციალური მიმოწერით დაწყებული, არაფორმალური ზარებითა და პირადი კომუნიკაციით დასრულებული. შემთხვევათა უმეტესობაში, მონაწილეთა უკუკავშირის მისაღებად მაკოორდინირებელი უწყებები იყენებდნენ სულ ცოტა, ორ მექანიზმს: საჯარო კონსულტაციის მონაწილეები მათ ჯერ წერილობით კომენტარებს აწვდიდნენ და შემდეგ, შეხვედრის განმავლობაში განიხილავდნენ. იმ შემთხვევებში, როცა საჯარო კონსულტაციის

მონაწილეებს უკუკავშირის მიწოდება მხოლოდ ერთი მექანიზმით შეეძლოთ, ისინი ხაზს უსვამდნენ, რომ პროცესი უფრო ეფექტური იქნებოდა, თუკი კომენტარის მიწოდება სხვადასხვა ფორმატში შეეძლებოდათ:

*ვისურვებდი, საჯარო კონსულტაცია არამხოლოდ წერილობით ფორმატში, არამედ, ასევე, ონლაინ შეხვედრების სახითაც ჩატარებულიყო. გარდა ამისა, შეიძლებოდა, მსგავსი პროფილის მქონე ორგანიზაციებთან ფოკუსჯგუფების ჩატარებულიყო. ზოგჯერ, წერილობითი კომენტარები არ არის საკმარისად დეტალური, ან მკაფიო, ამიტომ ყოველთვის შეხვედრა სჭირდება (საჯარო კონსულტაციის მონაწილე).*

რამდენადაც უკუკავშირის რამდენიმე მექანიზმის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია საჯარო კონსულტაციების ეფექტურობისთვის, ამასთან ერთად, აუცილებელია უკუკავშირის მიღებისათვის საკმარისი დროის გამოყოფა. მეხუთე ინდიკატორი აფასებს, რამდენად გონივრული ვადა განესაზღვრათ კონსულტაციის მონაწილეებს კომენტარების მისაწოდებლად.

იმ ვითარებაში, როცა მაკოორდინირებელი უწყება მიმართავს ონლაინ/პირისპირ შეხვედრას, ან მსგავს ფორმატს, რომელშიც კონსულტაციის პოლიტიკის დოკუმენტის მონახაზის წარდგენა და განხილვა მიმდინარეობს, მონაწილეებს დამატებითი კომენტარების მისაწოდებლად, სულ ცოტა, ერთი კვირა უნდა ჰქონდეთ. უკუკავშირის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიღებისას, ან მაშინ, როცა დოკუმენტი ონლაინ ქვეყნდება, დაინტერესებული პირების/ორგანიზაციების უკუკავშირის შესაგროვებლად, დოკუმენტის პაკეტის გაზიარებიდან/გაგზავნიდან ორი კვირა მაინც უნდა გამოიყოს.

მთლიანობაში, მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებმა და საჯარო კონსულტაციის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს საზოგადოებისთვის საკმარისი დროის მიცემის მნიშვნელობას, რათა მონაწილეებმა პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ შინაარსიანი და დეტალური კომენტარების მიწოდება შეეძლოთ:

*თუკი ქეშმარიტი მონაწილეობა გვინდა, ამ პირებს გონივრული ვადა უნდა მივცეთ, რომ წაიკითხონ, გაიაზრონ და შემდეგ უკუკავშირი მოგვანოდონ. ამიტომ, თუ დიდ დოკუმენტებზეა საუბარი, ხშირად ორიდან სამ კვირამდე ვადას ვაძლევთ (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

მეექვსე ინდიკატორი აფასებს, თუ რამდენად ჩაატარა მაკოორდინირებელმა უწყებამ საჯარო კონსულტაცია პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ერთ, ან მეტ საფეხურზე. საჯარო კონსულტაციის ჩატარება პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო მონახაზის შესახებ სავალდებულოა. შესაბამისად, ეს მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს. „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ თანახმად, საზოგადოებრივი მონაწილეობა სასურველია პოლიტიკის დოკუმენტის ციკლის თითოეულ საფეხურზე. ამასთან, პოლიტიკის შექმნის ადრეულ (მაგ., სიტუაციის ანალიზისა და პრიორიტეტების განსაზღვრის) საფეხურებზე ჩართულობა არსებითია იმისათვის, რომ მოქალაქეებს, ბენეფიციარებსა და დაინტერესებულ მხარეებს პოლიტიკის შექმნაში რეალური წვლილის შეტანის შესაძლებლობა მიეცეთ.

მონაცემები აჩვენებს, რომ მაკოორდინირებელ უწყებათა უმეტესობამ საჯარო კონსულტაციები სულ ცოტა, ორ საფეხურზე ჩაატარა. თუმცა, პოლიტიკის შექმნის ციკლის ადრეულ საფეხურებზე,

კონსულტაციები ძირითადად, შესაბამის საჯარო უწყებების, დონორებისა და დაქირავებული ექსპერტების სამუშაო ჯგუფებს მოიცავდა. პოლიტიკის შექმნის ყველა საფეხურზე ფართო საზოგადოების ჩართვა მხოლოდ სამმა მაკოორდინირებელმა უწყებამ შეძლო, დანარჩენებმა საჯარო, ან მიზნობრივი კონსულტაციები მხოლოდ საბოლოო საფეხურზე ჩაატარეს.

საჯარო კონსულტაციები, რომლებიც მხოლოდ დოკუმენტის შემუშავების საბოლოო საფეხურზე ტარდება, შედეგად გვაძლევს CSO-ებისა და მოქალაქეების მწირ მონაწილეობასა და მინიმალურ უკუკავშირს. საჯარო კონსულტაციების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათი უწყვეტი ჩართულობა ყველა საფეხურზე კონსულტაციის პროცესის ხარისხს აუმჯობესებს:

*საჯარო კონსულტაციის პროცესი ცოტა ფრაგმენტული იყო. ბოლო ეტაპებზე მივიდოდით, ვიმსჯელებდით და მერე - ვიშლებოდით. ვისურვებდი, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის სისტემა, ჩარჩო, უკეთ ყოფილიყო მომზადებული (საჯარო კონსულტაციის მონაწილე).*

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების ადრეული საფეხურებიდან (მიზნებისა და ამოცანების შემუშავება) საზოგადოების ჩართულობა, აძლიერებს მათ მზაობას საჯარო კონსულტაციის პროცესისადმი და შედეგად, უკუკავშირი უფრო რელევანტური და უკეთ ჩამოყალიბებულია. შესაბამისად, მოქალაქეებისა და CSO-ების ჩართულობა სტრატეგიისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავების მრავალ საფეხურზე არსებითად მნიშვნელოვანია ეფექტური და შინაარსიანი საჯარო კონსულტაციებისათვის.

საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა პერსპექტივის შეფასების რაოდენობრივი მონაცემებით გამდიდრების მიზნით, ინტერვიუების დასასრულს, მკვლევართა გუნდი რესპონდენტებს სთხოვდა, საჯარო კონსულტაციის პროცესში მონაწილეობით კმაყოფილება ათქულიან სკალაზე შეეფასებინათ, სადაც 10 ქულა კმაყოფილების ყველაზე მაღალ დონეს აღნიშნავდა. კვლევაში მონაწილე 15 რესპონდენტიდან, შეფასება 14-მა მოგვანოდა, ხოლო ერთმა მონაწილემ რაოდენობრივი შეფასებისაგან თავი შეიკავა.

მკვლევართა გუნდმა ვერ შეძლო ინტერვიუების ჩატარება პოლიტიკის ოთხი დოკუმენტის შესახებ გამართული კონსულტაციების მონაწილეებთან. სამ შემთხვევაში, მაკოორდინირებელმა უწყებამ საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა საკონტაქტო ინფორმაცია არ მოგვანოდა. ერთ-ერთმა უწყებამ მხოლოდ ხუთი მონაწილის საკონტაქტო ინფორმაცია გაგვიზიარა (შემატამებელ ანგარიშში ნახსენები 200-ზე მეტი მონაწილიდან). თუმცა, მათ ან არ ისურვეს კვლევაში მონაწილეობა, ან არ უპასუხეს მკვლევართა გუნდის თხოვნას ინტერვიუში მონაწილეობის შესახებ. CSO-ების 14 მონაწილის კმაყოფილების საშუალო ქულა 10-დან 8.1-ს შეადგენდა.

შესატამებლად შეიძლება ითქვას, რომ მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობამ პროცესის ეფექტურობის ამსახველ კრიტერიუმში კარგი შედეგები აჩვენა. რამდენადაც მაკოორდინირებელმა უწყებებმა საჯარო კონსულტაციების სხვადასხვა ფორმატი გამოიყენეს და უკუკავშირის მიღების სხვადასხვა მექანიზმს მიმართეს, საჯარო კონსულტაციების უმეტესობამ თითოეული ინდიკატორის მოთხოვნები დააკმაყოფილა. თითოეულ შემთხვევაში, მონაწილეებს საჯარო კონსულტაციის შესახებ სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე ატყობინებდნენ. კონსულტაციების უმრავლესობა ერთზე მეტ ფორმატში და პოლიტიკის შექმნის ციკლის ერთზე მეტ საფეხურზე ჩატარდა. ამასთან, მაკოორდინირებელ უწყებათა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უკუკავშირის მისაღებად საკმარისი დრო გამოყო და ამისათვის ერთზე მეტი მექანიზმი უზრუნველყო. მიუხედავად ამისა, პროცესში



მანც გვხვდება სირთულეები. უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტურობა მაკოორდინირებელი უწყებებისა და საჯარო კონსულტაციების მონაწილეების პერსპექტივიდან, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად ფასდებოდეს. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ხშირად, მათი ჩართულობა სპორადული და ფრაგმენტული იყო და ზოგჯერ, შინაარსიანი უკუკავშირის მიწოდება უჭირდათ. ამრიგად, თუმცა PCI-ს შესაბამისი ინდიკატორების მიხედვით, საჯარო კონსულტაციის პროცესი მთლიანობაში ეფექტური იყო, როგორც ჩანს, მიდგომა არასაკმარისად სისტემატური და სინქრონულია.

ინდიკატორების მიხედვით, მესამე კრიტერიუმის შეფასება ცხრილ 5-ში არის მოცემული.

**ცხრილი 5. შეფასება – საჯარო კონსულტაციების პროცესის ეფექტურობა**

<b>კრიტერიუმი III: საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა</b>	<b>2.1</b>
3.1. საჯარო განცხადება საჯარო კონსულტაციის პროცესის დაწყებამდე, სულ ცოტა, ერთი კვირით ადრე გავრცელდა.	1.8
3.2. საჯარო განცხადებაში მითითებული ინფორმაცია დამაკმაყოფილებელია (შეესაბამება „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ 3.5 თავში განწერილ რეკომენდაციებს).	2.6
3.3. საჯარო კონსულტაციები ერთზე მეტ ფორმატში ჩატარდა.	1.9
3.4. უზრუნველყოფილ იქნა უკუკავშირის მიღების ერთზე მეტი მექანიზმი.	2
3.5. უკუკავშირის მიწოდებისათვის (კონსულტაციის ფორმატის შესაბამისად) საკმარისი დრო იქნა გამოყოფილი.	2.4
3.6. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა პოლიტიკის შემუშავების ციკლის სულ ცოტა, ერთ საფეხურზე.	2.2

**4. კრიტერიუმი - ანგარიშვალდებულება**

შიდა და გარე ანგარიშვალდებულების მექანიზმების ჩამოყალიბება არსებითად მნიშვნელოვანია ღია და გამჭვირვალე მმართველობისათვის. ამრიგად, ანგარიშვალდებულება წარმატებული საჯარო კონსულტაციების კიდევ ერთი ასპექტია. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მაკოორდინირებელმა უწყებებმა გონივრული მოლოდინები შეიქმნან საჯარო კონსულტაციების პროცესში საზოგადოების შეკითხვებზე საპასუხოდ, რათა მთავრობასა და საზოგადოებას შორის შინაარსიანი თანამშრომლობა ჩამოყალიბდეს.

თუმცა, საზოგადოების უკუკავშირის მართვა და პასუხის მიწოდება რთულია და არსებით რესურსებს მოითხოვს. მიუხედავად ამ თვალსაზრისით, გარკვეული სირთულეების არსებობისა, მაკოორდინირებელი უწყებები უნდა შეეცადონ, დააკმაყოფილონ „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში“ მითითებული მოთხოვნები და საჯარო კონსულტაციების მონაწილეებს დეტალური უკუკავშირი მიანოდონ.

საჯარო კონსულტაციების დეტალური და კარგად ჩამოყალიბებული შემაჯამებელი ანგარიშების მიწოდება ერთ-ერთი გზაა, რომლის მეშვეობით უწყებებს მოქალაქეთა მიერ კონსულტაციების განმავლობაში გაწეული წვლილის საპასუხო ანგარიშგება შეუძლიათ. ანგარიშვალდებულების კრიტერიუმის პირველი ინდიკატორი აფასებს, რამდენად ყოვლისმომცველად აღწერს საჯარო

კონსულტაციის შემაჯამებელი ანგარიში საჯარო კონსულტაციის მიზნებს, პროცესსა და შედეგებს. ის აფასებს შემაჯამებელი ანგარიშის შესაბამისობას „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოს“ დანართ 9-ში გაწერილ მინიმალურ მოთხოვნებთან. ამ სავალდებულო ინფორმაციის გარდა, შემაჯამებელი ანგარიში უნდა შეიცავდეს დამატებით დეტალებს საჯარო კონსულტაციის მიზნების, პროცესის, ინფორმაციას გამოყენებული არხების, მიდგომებისა და აქტივობების შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ რა მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული კომენტარების ანალიზისათვის და რამდენად მიეწოდა უკუკავშირი კომენტარების ავტორებს. გარდა ამისა, ანგარიში უნდა აღწერდეს პოლიტიკის დოკუმენტში საჯარო კონსულტაციების შედეგად შეტანილ ცვლილებებს და შეიცავდეს ინფორმაციას მიღებული რეკომენდაციების, ასევე - ამ რეკომენდაციათა მიღებისა თუ უარყოფის დამასაბუთებელი არგუმენტების თაობაზე.

ანგარიშვალდებულების კრიტერიუმის შეფასება განსაკუთრებით რთული იყო, რადგან საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშები მხოლოდ ხუთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ მოგვანოდა. 2021 წლის განმავლობაში, მაკოორდინირებელ უწყებათა უმრავლესობამ ვერ შეძლო საჯარო კონსულტაციების მითითებულ ვადაში ჩატარება და შემაჯამებელი ანგარიშები 2022 წლის თებერვლისათვის ჯერ კიდევ არ იყო ხელმისაწვდომი. რაც შეეხება დადებით მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ მაკოორდინირებელ უწყებებს არათანაბარი წარმოდგენა ჰქონდათ იმის თაობაზე, თუ რა შედეგებს გულისხმობდა შემაჯამებელი ანგარიში, ჩვენთვის ხელმისაწვდომმა ხუთივე შემაჯამებელმა ანგარიშმა მინიმალურ მოთხოვნებს გადააჭარბა და საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) მიხედვით, მაღალი ქულებით შეფასდა.

ანგარიშვალდებულების კრიტერიუმის მეორე ინდიკატორი აფასებს, რამდენად მიიღეს საჯარო კონსულტაციის მონაწილეებმა მაკოორდინირებელი უწყებების უკუკავშირი იმის შესახებ, თუ მათ მიერ მიწოდებული რომელი რეკომენდაციები იქნა, ან არ იქნა პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინებული. იმ შემთხვევებში, როცა შემაჯამებელი ანგარიში ჯერ კიდევ არ იყო ხელმისაწვდომი, მკვლევართა გუნდმა მონაცემები საჯარო კონსულტაციების მონაწილეებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან შეაგსო.

მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა უმრავლესობამ გარკვეული სახის უკუკავშირი მართლაც მიიღო, ბევრმა მათგანმა უკმაყოფილება გამოხატა მაკოორდინირებელი უწყებების მხრიდან პროაქტიური კომუნიკაციის სიმწირის თაობაზე:

*აქტიურად ვიყავით ჩართულები, კომენტარები გავუგზავნეთ, მაგრამ არავითარი უკუკავშირი არ მიგვიღია. რა თქმა უნდა, კარგია, როცა [მაკოორდინირებელი უწყება] კომენტარების მიწოდებას გვთხოვს, მაგრამ ძალიან სამწუხაროა, რომ უმეტეს შემთხვევებში, ეს მხოლოდ ფორმალობაა (საჯარო კონსულტაციის მონაწილე).*

მეორე მხრივ, მაკოორდინირებელი უწყებების მონაწილეებმაც ისაუბრეს მონაწილეებისათვის უკუკავშირის მიწოდების სირთულეებზე. ეს სიძნელეები, უპირველესად, ადამიანური რესურსების სიმწირესა და დაფინანსების უკმარისობას უკავშირდებოდა:

*გვესმის, რომ კომუნიკაცია ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელიც ყველა დონეზე საჭიროებს გაუმჯობესებას. თუმცა, ეს უამრავ რესურსს მოითხოვს. ყველაფერი ვცადეთ, მაგრამ გულწრფელად ვისურვებდი, უფრო მეტ პირთან დაკავშირება შემძლებოდა (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

*ცხადია, მეტის გაკეთება შეგვეძლო და გაუმჯობესება შესაძლებელია, თუმცა, მიზეზები ობიექტური იყო - თანამშრომლები გვაკლია და არ შეგვიძლია, ყველაფერი გავაკეთოთ, რაც გვინდა (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

*შეხვედრების ორგანიზება, იმეილებისთვის პასუხის გაცემა ადამიანურ რესურსებს და დროს მოითხოვს, რომელიც, ხშირად, არ გვაქვს (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

რამდენიმე მაკოორდინირებელმა უწყებამ, საჯარო კონსულტაციის მონაწილეებთან შეუფერხებელი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, დონორების მხარდაჭერა მიიღო. მაგალითად, ერთ-ერთი მაკოორდინირებელი უწყებისათვის, დონორმა კომუნიკაციის ოფიცერი დაიქირავა, რომელსაც შეკითხვებზე პასუხის გაცემა და საჯარო კონსულტაციების ტექნიკური დაგეგმვა ევალებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციისათვის გუნდის გარე წევრის დაქირავება მაკოორდინირებელ უწყებას სხვადასხვა მიზეზებისათვის ადამიანური რესურსის დაზოგვაში ეხმარება, გრძელვადიანი თვალსაზრისით, ეს არ უწყობს ხელს სამთავრობო ინსტიტუციების შესაძლებლობების განვითარებას.

მესამე ინდიკატორი წინას უკავშირდება, რამდენადაც აფასებს, მიიღეს თუ არა კომენტარების ავტორებმა დასაბუთებული უკუკავშირი, ან განმარტება, რატომ არ იქნა მათი რეკომენდაციები თუ კომენტარები გათვალისწინებული. საჯარო კონსულტაციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ისინი განსაკუთრებულად აფასებდნენ დასაბუთებულ უკუკავშირს. მრავალმა მათგანმა განაცხადა, რომ მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენლებთან უწყვეტი კომუნიკაცია არსებითად მნიშვნელოვანია შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების ჩატარების საქმეში. გარდა ამისა, დასაბუთებული უკუკავშირის მიწოდება CSO-ების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების მხრიდან საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობის მოტივაციასაც ზრდის. საჯარო კონსულტაციების მონაწილეები, რომლებმაც დასაბუთებული უკუკავშირი მიიღეს, საჯარო კონსულტაციების ეფექტურობას უფრო დადებითად აფასებენ:

*მთლიანობაში, კონსულტაციის პროცესი, ვფიქრობ, ეფექტური იყო. უკუკავშირი მივიღეთ და ბევრი სხვადასხვა მოსაზრება იქნა განხილული (საჯარო კონსულტაციის მონაწილე).*

რადგან ზოგიერთმა მაკოორდინირებელმა უწყებამ მრავალი საჯარო კონსულტაცია ჩაატარა და შედეგად, ბევრი კომენტარი მიიღო, კომენტარების სრული რაოდენობის აღრიცხვა მათთვის განსაკუთრებით რთული იყო. ამრიგად, მათ კომენტარები საერთო თემატური ნიშნებით დააჯგუფეს და ამიტომ, შემაჯამებელი ანგარიშები მხოლოდ თემატურ კომენტარებს მიემართება. ასეთი მიდგომა გონივრულია; შესაბამისად, მაკოორდინირებელი უწყებები, რომლებმაც მიღებული/უარყოფილი კომენტარების შესახებ ინფორმაცია ადრესატებს თემატური ჯგუფების მიხედვით მიაწოდეს, მაგრამ რაოდენობრივი მონაცემები არ წარმოუდგენიათ, დაბალი ქულებით არ შეფასდნენ.

ორმა მაკოორდინირებელმა უწყებამ - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და იუსტიციის სამინისტრომ - სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო მონახაზის შესახებ საჯარო კონსულტაციების შედეგები რაოდენობრივი, გრაფიკული სახით წარმოადგინეს. მიღებული, ნაწილობრივ მიღებული და უარყოფილი კომენტარების რაოდენობრივი, გრაფიკული ილუსტრაცია ადვილად გასაგებია. გარდა ამისა, რაოდენობრივი ინფორმაცია ამარტივებს სხვადასხვა 'ქეისის' შესახებ უკუკავშირის მიღების სიხშირის შედარებასა და კლასიფიცირებას. მიუხედავად ამისა, თუკი

მაკოორდინირებელი უწყებები მრავალ საჯარო კონსულტაციას ატარებენ პოლიტიკის შემუშავების სხვადასხვა საფეხურზე და უკუკავშირის მიწოდების მრავალფეროვანი ფორმატების კომბინირებას ახდენენ, შესაძლოა, რაოდენობრივი მონაცემების აღრიცხვა გაუჭირდეთ. ასეთ შემთხვევებში, კომენტარების დაჯგუფება თემატური პრინციპით და თვისებრივი მონაცემების მიწოდება სავსებით საკმარისია. სამმა მაკოორდინირებელმა უწყებამ - კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ინტეგრაციისა და შერიგების სამინისტრომ და ენის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკუკავშირის დაჯგუფებისა და ანალიზის თვისებრივ პრინციპს მიმართა. რამდენადაც ეს მიდგომა გამართლებულია, მომავალი წლის პოლიტიკის დოკუმენტების კოჰორტისათვის, PCI შესაბამისად განახლდება, რათა მოიცვას ისეთი შემთხვევებიც, როცა რაოდენობრივი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

მეოთხე ინდიკატორი აფასებს, რამდენად იქნა საჯაროდ ხელმისაწვდომი საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშები. საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშების ხელმისაწვდომობა არსებითად მნიშვნელოვანია სამთავრობო ინსტიტუციების საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფისათვის. ამასთან, ის ხელს უწყობს საჯარო კონსულტაციის „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოსთან“ შესაბამისობის მონიტორინგსა და შეფასებას.

შემაჯამებელი ანგარიშის გამოქვეყნება სავალდებულოა მხოლოდ პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ. რადგან ბევრმა მაკოორდინირებელმა უწყებამ დამტკიცების საბოლოო ვადა გაახანგრძლივა, 2022 წლის თებერვლისთვის მხოლოდ ორი შემაჯამებელი ანგარიში იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ამ ინდიკატორისადმი შესაბამისობის შეფასებისათვის მონაცემები არასაკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა გუნდს არ აქვს წვდომა ყველა შემაჯამებელ ანგარიშზე, ინტერვიუების განმავლობაში, მაკოორდინირებელ უწყებათა ყველა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შემაჯამებელი ანგარიშები ახლო მომავალში იქნებოდა ხელმისაწვდომი.

შეჯამებისათვის, ანგარიშვალდებულების კრიტერიუმის მიხედვით მინიჭებული საშუალო ქულა PCI-ს კრიტერიუმებს შორის ყველაზე მაღალი იყო. თუმცა, ეს განპირობებული იყო არა თითოეული ინდიკატორის მიხედვით მაღალი ქულების მინიჭებით, არამედ - ხელმისაწვდომი ინფორმაციის სიმწირით, რომლის შედეგად, სტრატეგიის დოკუმენტი შეფასებიდან გამოირიცხა. მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან, უმთავრესი სირთულე ყველა მონაწილისათვის დასაბუთებული უკუკავშირის მისაწოდებლად აუცილებელი დროისა და რესურსების სიმწირე იყო. მეორე მხრივ, საჯარო კონსულტაციების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსების სიმწირე შეიძლება, მაკოორდინირებელ უწყებათა პოლიტიკურ ნებას ასახავდეს და აჩვენებდეს, რამდენად პრიორიტეტულია მათთვის პოლიტიკის შემუშავების პროცესში სამოქალაქო ჩართულობა და რამდენად გამოყოფენ საკმარის რესურსს ეფექტური საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად. და ბოლოს, ღია ინსტიტუციური კულტურისა და მარტივი, ნაკლებად ბიუროკრატიული საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბების გზით, მაკოორდინირებელმა უწყებებმა საჯარო კონსულტაციის მონაწილეებისადმი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ოპტიმალური გზა უნდა იპოვონ. მეოთხე კრიტერიუმის შეფასება თითოეული ინდიკატორის მიხედვით ცხრილ 6-შია მოცემული.

## ცხრილი 6. შეფასება – ანგარიშვალდებულება

კრიტერიუმი 4: ანგარიშვალდებულება	2.5
4.1. საჯარო კონსულტაციების შემატყობველი ანგარიში სრულად აღწერს საჯარო კონსულტაციების მიზნებს, პროცესსა და შედეგებს.	3
4.2. უკუკავშირის ავტორებს მიეწოდათ ინფორმაცია მიღებული, ნაწილობრივ მიღებული და უარყოფილი კომენტარების შესახებ.	2.7
4.3. უკუკავშირის ავტორებს მიეწოდათ დასაბუთებული განმარტება.	2.4
4.4 საჯარო კონსულტაციების შემატყობველი ანგარიში საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.	1.5

## 5. კრიტერიუმი - მონაწილეთა მრავალფეროვნება და საჯარო კონსულტაციის პროცესის ინკლუზიურობა

კვლევამ აჩვენა, რომ მონაწილეთა მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა ჩატარებული საჯარო კონსულტაციების ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ასპექტი იყო.

მაკოორდინირებელ უწყებათა უმრავლესობას არ მიუღია სპეციფიკური ზომები მონაწილეთა მონაწილეთა მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობა წინასწარი დაგეგმვის გარეშე იქნა მიღწეული, მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობას არ გამოუჩენია დამატებითი ძალისხმევა უმცირესობათა ჯგუფების (მაგალითად, ფსიქოსოციალური საჭიროებებისა თუ ფიზიკური შეზღუდვების მქონე პირები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები, ლგბტქ თემი და ა.შ.) ჩართულობისთვის. ერთადერთი შემთხვევა, როცა მაკოორდინირებელმა უწყებამ გასწია დამატებითი ძალისხმევა და წინასწარ გაითვალისწინა სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობის საკითხი კონსულტაციების პროცესში, იყო „სახელმწიფო სამოქმედო გეგმა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებისათვის 2021-2022“ და „სახელმწიფო სტრატეგია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციისათვის 2021-2030“, შესაბამისი სამოქმედო გეგმითურთ. გარდა ამისა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მიიღო კონკრეტული ზომები თითოეული რეგისტრირებული ინდივიდის სპეციალური საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის და ხსენებული საჭიროებები შეხვედრებისას გაითვალისწინა. მაგალითად, რეგისტრაციისას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეეძლოთ, მათი სპეციალური საჭიროებები მიეთითებინათ, ხოლო მაკოორდინირებელმა უწყებამ კონსულტაციის პროცესის შესაბამისად ადაპტირება მოახდინა.

ზოგიერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინკლუზიისათვის დამატებითი ნაბიჯები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადაიდგას, თუკი სტრატეგიის დოკუმენტი უმცირესობათა ჯგუფებს უშუალოდ მიემართება. მაგალითისთვის, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030“ და „სამოქმედო გეგმა 2021-2022“ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებს უშუალო რელევანტურ აუდიტორიად განსაზღვრავდა და ამრიგად, მათი ინკლუზია თავად პოლიტიკის დოკუმენტის თემიდან გამომდინარე იყო აუცილებელი. „C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიამ“ ასევე განსაზღვრა ნივთიერებების ავადმობმარების პრობლემებისა და ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების მქონე პირები უშუალო დაინტერესებულ მხარეებად და შესაბამისად, ისინი



საჯარო კონსულტაციების პროცესში ჩართო. გარდა ამისა, კომენტარების მისაწოდებლად მინ-ვეულნი იყვნენ ლგბტქ ინდივიდებიც. „ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია 2021-2030“ და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2030 ასევე უზრუნველყოფდა ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირებისა და ამ საკითხზე მომუშავე შესაბამისი NGO-ების ჩართულობას. პოლიტიკის კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელმაც კონსულტაციაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ჩართო, „სტრატეგია ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ 2022-2025“ და მისი სამოქმედო გეგმა 2022-2023. ომის ვეტერანები უშუალო დაინტერესებულ მხარედ იყვნენ განსაზღვრულნი და რამდენადაც მათ უმეტესობას ფიზიკური შეზღუდვები ჰქონდა, საჯარო კონსულტაციის პროცესი მათი საჭიროებებისთვის ადაპტირებული იყო.

როგორც უკვე აღინიშნა, ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობა შემთხვევითი იყო. პირველი ინდიკატორი აფასებს, რამდენად მიზანმიმართულად გადაიდგა საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესში სპეციფიკური ნაბიჯები კონსულტაციებში ორივე სქესის პირთა ჩასართავად. მამაკაცებისა და ქალების თანაბარი ინკლუზიის უზრუნველსაყოფად, გენდერის მნიშვნელობა საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის ადრეულ საფეხურზე უნდა იყოს გათვალისწინებული. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, საჯარო კონსულტაციის დაგეგმვამდე, ქალებისა და მამაკაცების მინიმალური სამიზნე წილის/რაოდენობის განსაზღვრის გზით. ასევე, მნიშვნელოვანია დაბალანსებული დისკუსიის უზრუნველყოფაც. ამისათვის, შეხვედრის ფასილიტატორი უნდა შეეცადოს, წაახალისოს როგორც მამაკაცების, ისე - ქალების ჩართულობა. დაბოლოს, სასურველია, მაკოორდინირებელმა უწყებებმა საჯარო კონსულტაციების დაგეგმვის პროცესში, კონსულტაცია გაიარონ გენდერის სპეციალისტთან. გენდერის ექსპერტებთან კონსულტაცია უწყებებს სტრატეგიის თითოეული დოკუმენტისათვის გენდერული სპეციფიკის იდენტიფიცირების შესაძლებლობას მისცემს და შესაბამისი ზომების მიღებას უზრუნველყოფს.

ინკლუზიური საჯარო კონსულტაციის პროცესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მოწყვლად უმცირესობათა ჯგუფების იდენტიფიცირება და ჩართვა. შესაბამისად, მეორე ინდიკატორი აფასებს, რამდენად გადადგა დაგეგმვის პროცესში მაკოორდინირებელმა უწყებამ საგანგებო ნაბიჯები საჯარო კონსულტაციებში უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების ჩასართავად. ამ ჯგუფების კონსულტაციებში ჩართვის ერთ-ერთი საშუალებაა იმ ორგანიზაციათა საკონტაქტო ბაზის ქონა, რომლებიც უმცირესობათა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საკითხებზე მუშაობენ, როგორცაა ეთნიკური უმცირესობები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ან ლგბტქ ინდივიდები. საჯარო კონსულტაციების დაგეგმვის ეტაპზე, მაკოორდინირებელი უწყება უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებისა და მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ ორგანიზაციებს უნდა დაუკავშირდეს.

როგორც უკვე ვახსენეთ, მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობას არ მიუღია სპეციალური ზომები საჯარო კონსულტაციის მონაწილეთა მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. უწყებების წარმომადგენელთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ინკლუზიურობისათვის დამატებითი ნაბიჯები მხოლოდ მაშინ უნდა გადაიდგას, თუკი სტრატეგიის დოკუმენტი უმცირესობათა ჯგუფებს სტრატეგიის უშუალო ბენეფიციარებად განსაზღვრავს.

მონაცემები აჩვენებს, რომ მაკოორდინირებელი უწყებების შეზღუდული წარმოდგენა კონსულტაციის მონაწილეთა მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე ინკლუზიური საჯარო კონსულტაციის პროცესის უზრუნველყოფის გზაზე ერთ-ერთ უმთავრეს დაბრკოლებას წარმოადგენდა. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი სირთულეა ფინანსური რესურსის სიმწირეც, რადგან საჯარო კონსულტაციის ადაპ-

ტაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპეციალურ საჭიროებებთან და ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე თარგმანის უზრუნველყოფა ფინანსურ რესურსს მოითხოვს, რომელიც მაკოორდინირებელ უწყებებს ხშირად არ აქვთ:

*ეს ნაწილი, ინკლუზიის შესახებ, ფინანსურ რესურსსაც უკავშირდება. იცით, რა ღირს ერთ-საათიანი სინქრონული თარგმანი? ასეთი რესურსები არ გვაქვს (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

მიუხედავად ამისა, როცა ფინანსური რესურსების სიმწირესთან გვაქვს საქმე, მაკოორდინირებელ უწყებებს შეუძლიათ, მაინც იბრძოლონ მრავალფეროვანი ფონის მქონე პირების კონსულტაციებში ჩართვისათვის და ამისათვის ისეთ სტრატეგიებს მიმართონ, რომლებიც დამატებით სახსრებს არ საჭიროებს. მაგალითად, სხვადასხვა უმცირესობათა მონაცვლადი ჯგუფების - ეთნიკური უმცირესობების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ლგბტქ პირების - საკითხების შემსწავლელი ორგანიზაციების საკონტაქტო ბაზის ქონა, ასევე შეიტანდა წვლილს უწყებების მიერ ინკლუზიურობის უზრუნველყოფაში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში, უშუალო მონაწილეობა შესაძლოა, ვერ მოხერხდეს, უმცირესობათა მონაცვლად ჯგუფებთან მომუშავე CSO-ებთან კომუნიკაცია უწყებებს ამ ჯგუფების პერსპექტივის გაზიარებისა და სპეციალური საჭიროებების მენისტრიმინგის საშუალებას მისცემს, მაშინაც კი, თუკი ისინი პოლიტიკის დოკუმენტის უშუალო ბენეფიციარებად არ განისაზღვრებიან.

თემატური ორგანიზაციების ბაზის ქონა „ახალგაზრდობის სააგენტოს“ სხვადასხვა უმცირესობათა წარმომადგენელ ახალგაზრდებთან დაკავშირებაში დაეხმარა:

*დაახლოებით, 150 ორგანიზაციისაგან შემდგარი ბაზა გვაქვს. სხვადასხვა საკითხზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციები მოვნიშნეთ. რადგან ეს შიდა ბაზა გვაქვს, ახლა შეგვიძლია, საჯარო კონსულტაციის ძალიან ადრეულ საფეხურზე დავეკონტაქტოთ, კითხვარები გავუგზავნოთ და თემატურ ჯგუფებში ჩავრთოთ (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

გარდა ამისა, მონაწილეთა მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, სასურველია, საჯარო კონსულტაციებში ჩართული უმცირესობების მონაცვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა აღრიცხვაც. მესამე ინდიკატორი აფასებს თუ რამდენად აღრიცხავს და აანალიზებს მაკოორდინირებელი უწყება საჯარო კონსულტაციების მონაწილე მონაცვლადი ჯგუფების წარმომადგენლების მონაცემებს. ასეთი სტატისტიკური მონაცემების ქონა უწყებებს საჯარო კონსულტაციის პროცესის ხარვეზების დადგენაში და მათი სამომავლო გამოსწორების გზების დაგეგმვაში დაეხმარებოდა. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მონაცემები გვიჩვენებს, რომ მაკოორდინირებელი უწყებებიდან არცერთს არ ჩაუტარებია ანალიზი, რომელიც საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა მონაცვლადი ჯგუფებისადმი კუთვნილებას დაეფუძნებოდა.

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ დაგეგმვის პროცესში მონაცვლადი ჯგუფების გამოსავლენად კონკრეტული ნაბიჯების გადადმა საკმარისი არ არის. თავად კონსულტაციის პროცესიც უნდა იყოს ადაპტირებული უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფებისათვის, რათა მონაწილეების ქეშმარიტი ინკლუზიურობა და მრავალფეროვანი წარმომადგენლობა იყოს უზრუნველყოფილი. მეოთხე ინდიკატორი საჯარო კონსულტაციის ჩატარების პროცესში ინკლუზიურობის ასპექტს აკვირდება. მაგალითად, მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მათთვის სასურველ ფორმატში (წერილობით, ან ზეპირად) და სასურველ ენაზე მიაწოდონ უკუკავშირი. გარდა ამისა, შეხვედრისას

უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარგმანი უნეტურ ენაზე; ფიზიკური სივრცე უნდა იყოს ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებისათვის და ა.შ.

რადგან მაკოორდინირებელი უწყებების უმეტესობას არ გაუღია ძალისხმევა უმცირესობათა სხვადასხვა ჯგუფის ჩასართავად, საჯარო კონსულტაციის პროცესი არ იყო ადაპტირებული მათი სპეციალური საჭიროებებისათვის. იმ საჯარო კონსულტაციებს შორის, რომლებიც მოიცავდა მონაწილეებს უმცირესობათა მონაცვლადი ჯგუფებიდან (სულ სტრატეგიის ხუთი დოკუმენტი), სამის შემთხვევაში, საჭირო იყო პროცესის ადაპტაცია მონაწილეთა სპეციალურ საჭიროებებთან. საჯარო კონსულტაცია, რომელიც განიხილავდა „სახელმწიფო სტრატეგიას ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების შესახებ 2022-2025“-სა და მის სამოქმედო გეგმა 2022-2023-ს, მონაცვლადი ჯგუფის ერთი კატეგორიის - ფიზიკური შეზღუდვების მქონე პირებისათვის - იყო ადაპტირებული. კონსულტაცია „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030“-ის შესახებ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების მონაწილეობას თარგმანის დახმარებითა და საჯარო კონსულტაციის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ჩატარების გზით უზრუნველყოფდა. ყველაზე წარმატებული მაგალითი იყო „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სახელმწიფო სამოქმედო გეგმა 2021-2022“, რომელშიც შეზღუდული შესაძლებლობებისა მქონე და სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ახალგაზრდები მონაწილეობდნენ.

იმისათვის, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე პირები კონსულტაციის პროცესის მიღმა არ დარჩენილიყვნენ, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ სპეციალური მექანიზმი შეიმუშავა. სარეგისტრაციო ბმული მოიცავდა შეკითხვას, სჭირდებოდა თუ არა პირს სპეციალური დახმარება, ან ჰქონდა თუ არა სპეციალური საჭიროებები:

*თითოეული შეხვედრის წინ სარეგისტრაციო ფორმა გვექონდა, რომელიც პირის შესაძლო სპეციალური საჭიროებების შესახებ შეკითხვას შეიცავდა. მახსოვს, ერთ-ერთ რეგიონში ვიზიტისას, ერთმა მონაწილემ ახსენა, რომ ეტლით სარგებლობდა. ამის გამო, გადავწყვიტეთ, ღონისძიების ადგილი შეგვეცვალა (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

„C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგია“, „ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია 2021-2030“ და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2023 მოიცავდა მიზნებს, რომლებიც ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებსა და ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირებს შეეხებოდა. შესაბამისად, ორივე დოკუმენტი მოითხოვდა ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკის ორივე დოკუმენტის შემთხვევაში, პოლიტიკის განხილვის პროცესში ჩართულნი იყვნენ უმცირესობათა მონაცვლადი ჯგუფები (ნარკოტიკულ საშუალებათა მომხმარებლები და ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები), მკვლევართა გუნდს ხელთ არ აქვს საკმარისი მონაცემები იმის შესახებ, რამდენად განსაზღვრა მაკოორდინირებელმა უწყებამ მათი სპეციალური საჭიროებები წინასწარ, ან, საჭიროების შემთხვევაში, რამდენად მოახდინა კონსულტაციის პროცესის ადაპტაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეთა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა იყო ერთ-ერთი ყველაზე რთული საკითხი, რომელიც მაკოორდინირებელ უწყებათა უმრავლესობას პრიორიტეტად არ ჰქონდა განსაზღვრული. უმეტეს შემთხვევებში, მაკოორდინირებელ უწყებათა წარმომადგენლები უმცირესობის ჩართულობას შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების განხორციელების პროცესის არსებით ნაწილად არ მიიჩნევენ. ყველა სახის უმცირესობათა წარმომადგენლების ჩართულობაზე უფრო მნიშვნელოვნად ისინი მონაწილეთა რელევანტური

ჯგუფების ჩართულობას თვლიდნენ. შესაბამისად, მათი აზრით, თუკი სტრატეგიის დოკუმენტი მოწყვლად ჯგუფებს რელევანტურ დაინტერესებულ მხარეებად არ განსაზღვრავდა, უმცირესობათა ჩართულობა არარელევანტურად და ხარჯიანად მიიჩნეოდა. ამრიგად, PCI ინდექსის მიხედვით, ყველა სტრატეგიის დოკუმენტის საშუალო ქულა ამ კრიტერიუმში ყველაზე დაბალი იყო. სტრატეგიის ხუთი დოკუმენტი 0 ქულით შეფასდა მრავალფეროვნების კრიტერიუმის ყველა ინდიკატორში, ხოლო ხუთმა მათგანმა ინდიკატორთა უმრავლესობაში მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილა. სტრატეგიის მხოლოდ ორმა დოკუმენტმა („სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030“ და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2022 და „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სახელმწიფო სამოქმედო გეგმა 2021-2022“ მიიღო მინიმალურზე მაღალი შეფასება. შესაბამისად, ეს დოკუმენტები ორ ყველაზე წარმატებულ მაგალითს წარმოადგენდა. მეხუთე კრიტერიუმის შეფასება თითოეული ინდიკატორის მიხედვით მოცემულია ცხრილ 7-ში.

**ცხრილი 7. შეფასება – მონაწილეთა მრავალფეროვნება/ინკლუზიურობა**

<b>კრიტერიუმი 5: მონაწილეთა მრავალფეროვნება/ინკლუზიურობა</b>	<b>0.5</b>
5.1. საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესში საგანგებო ნაბიჯები გადაიდგა კონსულტაციებში ორივე სქესის პირთა აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.	0.5
5.2. საჯარო კონსულტაციის დაგეგმვის პროცესში საგანგებო ნაბიჯები გადაიდგა უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და ჩართულობისათვის.	1
5.3. მაკოორდინირებელი უწყება აღრიცხავს საჯარო კონსულტაციაში მონაწილე უმცირესობათა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებს.	0.1
5.4. საჯარო კონსულტაციის პროცესი ადაპტირებულია უმცირესობების მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებისათვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების სხვადასხვა ტიპის საჭიროებები)	0.5

**6. კრიტერიუმი - საჯარო კონსულტაციის პროცესში საზოგადოების ჩართულობა და დაინტერესება**

მოქალაქეთა და CSO-ების აქტიური ჩართულობა შინაარსიანი საჯარო კონსულტაციების ჩატარებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია. სტრატეგიის სხვადასხვა დოკუმენტების შემთხვევაში, საზოგადოება სხვადასხვა ხარისხით იყო ჩართული და დაინტერესებული. ზოგიერთი საჯარო კონსულტაცია ჩართულობის მაღალი დონით გამოირჩეოდა, თუმცა, მაკოორდინირებელ უწყებათა რამდენიმე წარმომადგენელი, მათი მცდელობების მიუხედავად, საზოგადოების მხრიდან ინტერესის ნაკლებობას უჩიოდა. მეექვსე კრიტერიუმი საზოგადოების ჩართულობას მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან ასახავს და მისი ქულა წინა ხუთი კრიტერიუმის ჯამურ შეფასებაში არ შედის.

საზოგადოების ჩართულობის დონის პირველი ინდიკატორი საჯარო კონსულტაციებში ჩართული CSO-ების/ინდივიდების რაოდენობას აფასებდა. მთლიანობაში, თითქმის ყველა საჯარო კონსულტაციაში ათზე მეტი მონაწილე იყო ჩართული. მიუხედავად ამისა, თითოეულ კონსულტაციაში ჩართული მონაწილეების რაოდენობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მაგალითად, „ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სახელმწიფო სამოქმედო გეგმა 2021-2022“-ს განხილვაში, ჯამში, 500-ზე მეტი მონაწილე იყო ჩართული, სხვა კონსულტაციები კი თხუთმეტზე ნაკლებ დაინტერესებულ პირს მოიცავდა.



მაკოორდინირებელ უწყებათა წარმომადგენლების თქმით, ჩართულ მონაწილეთა რაოდენობა, დიდწილად, სტრატეგიის დოკუმენტის თემაზეა დამოკიდებული:

*საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობა ყველასთვის იყო ხელმისაწვდომი; რიგითი მოქალაქეებისგანაც კი მივიღეთ კომენტარები. თუმცა, ბევრი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაცია არ დაინტერესდა, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი სტრატეგიის დოკუმენტის თემა სპეციფიკურია და შესაძლოა, ფართო საზოგადოებისათვის არც ისე საინტერესო (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

პოლიტიკის დოკუმენტის თემა გავლენას ახდენს საზოგადოების ჩართულობით დაინტერესებაზე, თუმცა, მაკოორდინირებელ უწყებათა ძალისხმევა არანაკლებ მნიშვნელოვანია. როცა მაკოორდინირებელი უწყებები მხოლოდ ერთ საჯარო კონსულტაციას მართავდნენ პოლიტიკის შემუშავების საბოლოო ეტაპზე, განხილვაში შესამჩნევად ნაკლები მონაწილე იყო ჩართული. ამის საპირისპიროდ, მაკოორდინირებელმა უწყებებმა, რომლებმაც საჯარო კონსულტაციის რამდენიმე ციკლი ჩაატარეს, პროცესში მეტი მონაწილის ჩართვა შეძლეს. გარდა ამისა, ჩართული პირების რაოდენობას საჯარო კონსულტაციების ონლაინ და პირისპირ ფორმატების კომბინირებაც ზრდიდა. მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობის ხელშემწყობი კიდევ ერთი ფაქტორი რეგიონებში სტუმრობა და საჯარო კონსულტაციებში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა იყო.

უკუკავშირის უნიკალურ ავტორთა რაოდენობა საზოგადოების ჩართულობის მეორე ინდიკატორია. ეს ინდიკატორი ზომავს, რამდენმა პირმა/ორგანიზაციამ მიაწოდა უწყებას კომენტარი პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ. აღსანიშნავია, რომ როცა დეტალური შემაჯამებელი ანგარიში არ იყო ხელმისაწვდომი, მკვლევართა გუნდი ამ ინდიკატორის შესაფასებლად მაკოორდინირებელ უწყებათა და CSO-ების წარმომადგენელთა მიერ გაზიარებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა.

ყველა მაკოორდინირებელმა უწყებამ მიიღო უკუკავშირი სულ ცოტა, ხუთი ინდივიდის/ორგანიზაციისაგან. მიუხედავად ამისა, ბევრ შემთხვევაში, უწყებას კომენტარებს მხოლოდ ექსპერტები და/ან თემატური ორგანიზაციები აწვდიდნენ და რიგითი მოქალაქეები ამ პროცესში არ იყვნენ ჩართულნი.

პოლიტიკის დოკუმენტის თემის გარდა, რომელიც, ბუნებრივია, საზოგადოებრივი დაინტერესების ხარისხზე გავლენას ახდენს, მაკოორდინირებელმა უწყებებმა CSO-ებისა და მოქალაქეებისგან უკუკავშირის მიღების რამდენიმე სირთულის შესახებ ისაუბრეს:

*ზოგადად, სამთავრობო უწყებებისათვის ბევრი მონაწილის ჩართვა ხშირად საკმაოდ პრობლემურია; ხშირად უნდა ვეხვეწოთ, რომ უკუკავშირი მოგვანოდონ. ზოგჯერ, მირეკავდნენ და ბევრ კითხვას მისვამდნენ საბოლოო ვადის, ფორმატის შესახებ, მაგრამ ბოლოს კომენტარებს არ გვანვდიდნენ (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

*ზოგიერთმა ჩართულმა მხარემ სტრატეგიაზე უკუკავშირი არ მოგვანოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი მხრიდან, მაკოორდინირებელმა უწყებამ ყველა მონაწილეს უპასუხა ახსნა-განმარტებით, რატომ იქნა გათვალისწინებული უკუკავშირი და რატომ - არა. ვინც უკუკავშირი არ მოგვანოდა, მათაც მივწერეთ (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*



მიუხედავად იმისა, რომ უკუკავშირი ყველა მონაწილეს არ მიუწოდებია, მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენელთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ საჯარო კონსულტაციის მონაწილეები პროცესის განმავლობაში აქტიურობდნენ. ამრიგად, მესამე ინდიკატორის საშუალო ქულა, რომელიც ყველა მაკოორდინირებელი უწყების მიერ შეფასებულ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას ზომავს, მაქსიმუმს უახლოვდება (2.8/3).

იმის მიუხედავად, რომ ხარისხიანი დოკუმენტების შემუშავების საქმეში, საჯარო კონსულტაციათა მონაწილეების წვლილი ღირებულად შეფასდა, მაკოორდინირებელი უწყებები რამდენიმე დამატებით სირთულეს განიხილავდნენ. მათი თქმით, ზოგიერთი კომენტარი მეტისმეტად არარეალისტური იყო, ზოგ შემთხვევაში კი - პოლიტიკის დოკუმენტის თემას სცილდებოდა. ასეთი კომენტარები პოლიტიკის დოკუმენტს ღირებულებას არ სძენდა და შესაბამისად, არ გაითვალისწინეს. მეოთხე ინდიკატორი ამ ასპექტს შეეხება და აფასებს, რამდენად ღირებული იყო საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა კომენტარები პოლიტიკის დოკუმენტების გაუმჯობესების საქმეში.

მაკოორდინირებელ უწყებათა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიღებულ რეკომენდაციათა უმრავლესობა რელევანტური იყო და გათვალისწინებულ იქნა, ან, ამ კომენტარების არ ასახვას პოლიტიკის დოკუმენტში ობიექტური მიზეზები ჰქონდა:

*ბევრი კომენტარი მივიღეთ. ვფიქრობ, CSO-ების მხრიდან მიღებული უკუკავშირი ღირებული იყო და მას მხოლოდ ფორმალობის გამო არ გვანვიდნენ (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი)*

მიუხედავად ამისა, მაკოორდინირებელ უწყებათა ზოგიერთმა წარმომადგენელმა კომენტარების ანალიზისა და გათვალისწინების სირთულეებზე ისაუბრა. შეუსაბამო კომენტარებისათვის პასუხის გაცემა, ან იმ მოსაზრების გაზიარება, რომ კომენტარები პოლიტიკის დოკუმენტის ფოკუსს სცილდებოდა, მათთვის დამატებითი გამოწვევა იყო:

*ცხადია, ყველა კომენტარი რელევანტური არ იყო და ამას არც ველოდით. მაგრამ მაინც ვცდილობდით, რამდენადაც შეგვეძლო, ყველა კომენტარისათვის გვეპასუხა (მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენელი).*

გარდა ამისა, მიღებული კომენტარების სიმრავლის გამო, ზოგჯერ, მათი შეჯამება და შინაარსიანად ურთიერთდაკავშირება რთული იყო. ასეთ შემთხვევებში, მაკოორდინირებელ უწყებებს დამატებითი რესურსებისა და დროის გამოყენება უწევდათ - ერთი მხრივ, იმისათვის, რომ გამოევლინათ შესაბამისი უკუკავშირები, რომელთაც შემდგომ გაითვალისწინებდნენ, მეორე მხრივ კი - არარელევანტური კომენტარების დასაბუთებული განმარტების საფუძველზე უარყოფისათვის.

მაკოორდინირებელი უწყებისათვის უკუკავშირის მითითებულ დროში მინოდება მონაწილეთა პასუხისმგებლობაა. მეხუთე ინდიკატორი აფასებს, რამდენად მიაწოდეს კონსულტაციის მონაწილეებმა უწყებებს უკუკავშირი განსაზღვრულ ვადაში.

მაკოორდინირებელი უწყებების წარმომადგენელთა თანახმად, მონაწილეთა უმრავლესობამ უკუკავშირი მათ დროულად მიაწოდა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, როცა საზოგადოებრივი ინტერესი მაღალი იყო, უწყებამ კომენტარების მიღების ვადა გაახანგრძლივა, რათა უფრო მეტ პირს შეძლებოდა

უკუკავშირის მიწოდება. მხოლოდ სამი მაკოორდინირებელი უწყების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთმა მონაწილემ უკუკავშირისთვის განსაზღვრული საბოლოო ვადის გასვლიდან რამდენიმე დღეში მიაწოდა კომენტარები.

მთლიანობაში, არსებული მონაცემები აჩვენებს, რომ საზოგადოების ჩართულობა, უმეტეს შემთხვევაში, საკმარისად მაღალი იყო. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ უკუკავშირი ყველა მიწვეულ მხარეს არ მიუწოდებია, მაკოორდინირებელი უწყებების უმრავლესობამ საჯარო კონსულტაციების მონაწილეთა ჩართულობა დადებითად შეაფასა. ამასთან, ისინი მიიჩნევენ, რომ კონსულტაციებისას მიღებული უკუკავშირი განსახილველი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების საქმეში ღირებული და შინაარსიანი იყო. შედეგად, ამ კრიტერიუმის საშუალო ქულა პოლიტიკის ყველა დოკუმენტისათვის 3-დან 2.7-ს შეადგენს. და ბოლოს, მაკოორდინირებელ უწყებათა წარმომადგენლების პერსპექტივა აჩვენებს, რომ მთავრობებს აქტიური სამოქალაქო ჩართულობით დიდი სარგებლის მიღება შეუძლიათ. ამრიგად, საზოგადოებრივი ჩართულობა არამხოლოდ ანგარიშვალდებული მმართველობისათვის არის არსებითად მნიშვნელოვანი, არამედ პოლიტიკის დოკუმენტების ხარისხის გაუმჯობესებაშიც შეაქვს წვლილი და ყველა მონაწილის - მათ შორის, სამთავრობო ინსტიტუციების - საჭიროებისა და მოლოდინების გაზიარების გზით, მდგრადი გადაწყვეტილებების მიღებას უწყობს ხელს. მეექვსე კრიტერიუმის შეფასება, თითოეული ინდიკატორის მიხედვით, მოცემულია ცხრილ 8-ში.

**ცხრილი 8. შეფასება – საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება**

<b>კრიტერიუმი 6: საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება</b>	<b>2.7</b>
6.1. მონაწილე CSO-ების/ინდივიდების რაოდენობა	2.7
6.2. უკუკავშირის უნიკალურ ავტორთა რაოდენობა	2.6
6.3. სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მაკოორდინირებელ უწყებათა შეფასებით	2.8
6.4. სამოქალაქო საზოგადოების მიერ მიწოდებული კომენტარების რელევანტურობა მაკოორდინირებელ უწყებათა შეფასებით	2.8
6.5. უკუკავშირის დროული მიწოდება	2.6

## შეჯამება და შედარება წინა კვლევასთან

სირთულეებთან არის დაკავშირებული 2021 წელს ჩატარებული საჯარო კონსულტაციების PCI ქულების შედარება წინა კვლევის შედეგებთან, რომელიც 2020 წლის პოლიტიკის დოკუმენტებს შეისწავლიდა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კვლევაში გამოყენებული იყო ექვსი კრიტერიუმისგან შემდგარი ინდიკატორი (საჯარო კონსულტაციის ინდექსი (PCI)) 2021 წლის კვლევაში ინდიკატორები და შეფასების გზამკვლევები გადაისინჯა, გაფართოვდა და განახლდა. გარდა ამისა, შეფასების სიზუსტისა და სტანდარტიზებისთვის, მკვლევართა გუნდმა განაახლა ქულათა მინიჭების გზამკვლევებიც. თუკი წინა კვლევაში ქულების მინიჭება, უპირველესად, მკვლევართა შეფასებას ეფუძნებოდა, გაზომვის თანმიმდევრულობისა და ინსტრუმენტის სიზუსტის უზრუნველსაყოფად, მოცემულმა კვლევამ დამატებით ძალისხმევას მიმართა. შესაბამისად, ქულების შემცირება საჯარო კონსულტაციების ხარისხის გაუარესებად არ უნდა მივიჩნიოთ. მეორე მხრივ, ქულების ზრდა ინტერპრეტირებულ უნდა იქნას, როგორც გადაწყვეტილების მიღების უფრო შინაარსიანი, ეფექტური და ინკლუზიური პროცესისკენ წინგადადგმული ნაბიჯი.

კვლევის შედეგები რომ შევაჯამოთ, მოცემული კვლევის ფარგლებში შესწავლილი ყველა საჯარო კონსულტაციის საშუალო ჯამური ქულა 1.4-ს შეადგენდა (მაქსიმალური 3-დან), რაც აჩვენებს, რომ ჩატარებული საჯარო კონსულტაციების უმეტესობამ საჯარო კონსულტაციის ინდექსით (PCI) განსაზღვრული მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილა და შეესაბამებოდა ადგილობრივ სტანდარტებს. პოლიტიკის დოკუმენტების 2020 წლის კოჰორტასთან (1.8/3) შედარებით, ჯამური საშუალო ქულა ოდნავ შემცირებულია. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა ქულის შემცირება PCI-ს ცვლილებებით აიხსნას.

მაკოორდინირებელი უწყებების ძალისხმევის შემფასებელ კრიტერიუმებს შორის, ყველაზე მაღალი ქულებით შეფასდა ანგარიშვალდებულება (2.5/3) და საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა (2.1/3). ამის მსგავსად, 2020 წლის პოლიტიკის დოკუმენტების კოჰორტის განსახილველი საჯარო კონსულტაციების შემთხვევაშიც, ყველაზე მაღალი ქულებით ანგარიშვალდებულება (2.2/3) და საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა (2.6/3) შეფასდა. მთლიანობაში, მონაცემები აჩვენებს, რომ მაკოორდინირებელი უწყებები მოვალეობას შედარებით უკეთ ართმევდნენ თავს, როცა გავლილი ჰქონდათ სრული ტრენინგი საჯარო კონსულტაციების დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპების, მოთხოვნებისა და შემატყობველი ანგარიშების მომზადების შესახებ, ასევე - უკუკავშირის ავტორებისათვის დასაბუთებული განმარტებების მიწოდების მკაფიოდ გაწერილი მოთხოვნების შესახებ. 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს უფრო მეტ მაკოორდინირებელ უწყებას ჰქონდა გავლილი ტრენინგი „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში“ გაწერილი ახალი წესებისა და პროცედურების თაობაზე და შესაბამისად, უკეთ იყვნენ ინფორმირებულნი, როგორ ჩატარებინათ წარმატებული და შინაარსიანი საჯარო კონსულტაციები.

როგორც 2020, ისე - 2021 წლის პოლიტიკის დოკუმენტების კოჰორტის შესახებ ჩატარებული საჯარო კონსულტაციების უმრავლესობამ, ძირითადად, დააკმაყოფილა ან რიგ შემთხვევებში გააუმჯობესა ხელმისაწვდომობისა და ღიაობის კრიტერიუმის მინიმალურ მოთხოვნები. ორივე წლისათვის, ქულები დაახლოებით მსგავსი იყო: ხელმისაწვდომობა - 0.7/3 2021 წელს და 1/3 2020 წელს. ღიაობა, შესაბამისად - 1.6/3 და 1.8/3. საჯარო კონსულტაციის პროცესის ხელმისაწვდომობის გასაზომად, 2021 წლის კვლევას დაემატა რამდენიმე ინდიკატორი, რომლებიც მოიცავდა GESI-ს ჩარჩოთი გაწერილ

საკვანძო პრინციპებს. აქედან გამომდინარე, წინა წელთან შედარებით, ამ კრიტერიუმის ჯამური ქულა ოდნავ შემცირდა. რაც შეეხება დადებით მხარეს, აღსანიშნია რომ, ჯამში, კონსულტაციის პროცესები იყო უფრო ღია და საჯარო კონსულტაციებში ჩართვა მეტ დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას შეეძლო.

მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ ასპექტს მონაწილეთა მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. 2021 წლის კვლევაში, ორი უწყების გარდა, მაკოორდინირებელ უწყებათა უმრავლესობამ ვერ დააკმაყოფილა ამ კრიტერიუმის მინიმალური მოთხოვნები. ამრიგად, ამ ინდიკატორის საშუალო ქულა 2021 წელს ყველაზე დაბალი იყო (0.5/3). ის ყველაზე დაბალი იყო 2020 წელსაც (1.3/3) - ამაზე ნაკლები ქულა მხოლოდ „ხელმისაწვდომობის“ ინდიკატორს ერგო (1/3).

წინა წელს, კრიტერიუმი 5- „მონაწილეთა მრავალფეროვნება“ ბუნდოვნად იყო განმარტებული და არ მოიცავდა სხვადასხვა დაუცველი ჯგუფის საკითხს. ახალმა კვლევამ დამატებით ძალისხმევას მიმართა გადანყვეტილების მიღების პროცესის ინკლუზიურობისა და სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ჩართულობის მნიშვნელობის გამოსაკვეთად.

კრიტერიუმი, რომელიც აფასებს მაკოორდინირებელი უწყების პერსპექტივას საზოგადოების ჩართულობისა და დაინტერესების შესახებ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, რაც წინა კვლევასთან უფრო უშუალოდ შედარებით შესაძლებლობას გვაძლევს. ეს კრიტერიუმი ყველაზე საგრძნობლად გაიზარდა და თუ 2020 წელს 2/3-ს შეადგენდა, 2021 წელს 2.7/3-ს გაუტოლდა. ზრდა მიუთითებს იმას, რომ საზოგადოების დაინტერესება გაიზარდა. მაკოორდინირებელი უწყებები მოქალაქეთა ჩართულობის დონეს უფრო დადებითად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ საჯარო კონსულტაციის მონაწილეებისაგან მიღებული უკუკავშირი პოლიტიკის დოკუმენტის გაუმჯობესების საქმეში ღირებულ როლს ასრულებდა.

ცხრილ 9-ში შედარებულია თითოეული კრიტერიუმის საშუალო ქულა 2020 და 2021 წლების კვლევების მიხედვით.

**ცხრილი 9 – 2020 და 2021 წლების საშუალო ქულების შედარება**

ინდიკატორი/კრიტერიუმი	2021	2020
საერთო ქულა, კრიტერიუმი 1: ხელმისაწვდომობა	0.7	1
საერთო ქულა, კრიტერიუმი 2: ღიაობა	1.6	1.8
საერთო ქულა, კრიტერიუმი 3: საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა	2.1	2.6
საერთო ქულა, კრიტერიუმი 4: ანგარიშვალდებულება	2.5	2.2
საერთო ქულა, კრიტერიუმი 5: მონაწილეების მრავალფეროვნება	0.5	1.3
PCI-ს ჯამური ქულა	1.4	1.8
კრიტერიუმ 6-ის საერთო ქულა: საზოგადოების ჩართულობა/დაინტერესება	2.7	2.0

## დასკვნა და რეკომენდაციები

კონტექსტიდან გამომდინარე, სამთავრობო უწყებებს განსხვავებულად ესმით, რომელ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს „კარგი“ საჯარო კონსულტაცია. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა ღია მმართველობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის, ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით, თუმცა, რჩება გარკვეული სირთულეებიც. პროგრესი აღსანიშნავია, თუმცა, ამასთან, ერთ-ერთი სფერო, რომელიც გაუმჯობესებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს საჭიროებს, საჯარო კონსულტაციის კომპონენტია, რომელიც წარმოადგენს საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის (PAR) განუყოფელ ნაწილს.

მაღალი ხარისხის მონაწილეობით პროცესებს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული მიზნები, ღირებულებები და თვისებები; თუმცა, ისინი იზიარებენ რამდენიმე მსგავს სტანდარტს, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ეფექტურ და მნიშვნელოვან ჩართულობას. საჯარო კონსულტაციების პროცესის ხარისხის შეფასების მიზნით, კვლევის ფარგლებში, ლიტერატურაში და საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოში განვიხილეთ საუკეთესო პრაქტიკებისა და ექსპერტებისგან მიღებული უკუკავშირების გათვალისწინებით, განახლდა და გადაისინჯა საჯარო კონსულტაციის ინდექსი (PCI). კვლევამ დაადგინა რამდენიმე გამოწვევა და შეაფასა საუკეთესო პრაქტიკები PCI-ს ექვსი კრიტერიუმის მიხედვით: ხელმისაწვდომობა, ღიაობა, საჯარო კონსულტაციის პროცესის ეფექტურობა, ანგარიშვალდებულება, მონაწილეთა მრავალფეროვნება და საზოგადოების ჩართულობა.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მთლიანობაში, ჩატარებულმა საჯარო კონსულტაციებმა დააკმაყოფილა „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში“ განვლილი მინიმალური მოთხოვნები, თუმცა, ისინი ჯერჯერობით კვლავაც ჩამორჩება საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს. ამასთან, სხვადასხვა მაკოორდინირებელი უწყების მიერ ჩატარებულ საჯარო კონსულტაციებს შორის საგრძნობი განსხვავება იყო და PCI-ს ინდიკატორების მიხედვით, მათი ქულები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. საჯარო კონსულტაციების ხარისხზე გავლენას სხვადასხვა შესაძლო ფაქტორი ახდენს. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ სამოქალაქო ჩართულობის კარგი პრაქტიკების ცოდნას, მაკოორდინირებელ უწყებათა პოლიტიკურ ნებასა და დონორთა მხარდაჭერას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გადაწყვეტილების მიღების შინაარსიან და ეფექტურ ქვევიდან ზევით მიმართულ პროცესში და ამ ფაქტორებს ურთიერთგამაძლიერებელი ეფექტი აქვთ.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, საჯარო კონსულტაციების გასაუმჯობესებლად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და მაკოორდინირებელი უწყებებისათვის მკვლევართა გუნდმა შეიმუშავა რეკომენდაციები.

### რეკომენდაციები

#### რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისათვის:

- მაკოორდინირებელი უწყებების ცნობიერების გაზრდა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში საჯარო კონსულტაციების ჩატარების არსებული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების შესახებ.



- საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში ჩართული ყველა საჯარო მოხელისა და საჯარო სექტორის თანამშრომლებისთვის (როგორც სამინისტროს, ისე სსიპ-ების დონეზე) საჯარო კონსულტაციების ჩატარების მინიმალურ მოთხოვნებსა და რეკომენდაციების საკითხზე, (რომლებიც განერილია „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში“) ტრენინგების ჩატარება.
- საჯარო კონსულტაციების ჩატარების პროცესის (ამოცანები, დაგეგმვა, განხორციელება, ფორმები, ანგარიშები და შეფასება) შესახებ დეტალური გზამკვლევის შემუშავება (ან, დანართ 11-ის დამტკიცება) და ტრენინგების შესაბამისი მოდულის ჩამოყალიბება. ინფორმაციის გავრცელება და მაკოორდინირებელი უწყებების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება.
- საჯარო კონსულტაციების ჩატარების საუკეთესო ადგილობრივი პრაქტიკების შესახებ ინფორმაციის გავრცელება საინფორმაციო კამპანიების, თემატური ღონისძიებების, ბეჭდური და ელექტრონული მასალის გაზიარების და ა.შ. გზით.
- საჯარო კონსულტაციის ინდექსის გამოყენება მაკოორდინირებელი უწყებების წასახალისებლად და მათთვის საჯარო კონსულტაციის ჩატარების მინიმალური მოთხოვნების (დადგენილება N629) დაკმაყოფილებაზე უფრო მეტის გაკეთების მოტივაციის შესაქმნელად. მაგალითად, ინდექსის მიხედვით ყველაზე მაღალი შეფასების მქონე მაკოორდინირებელი უწყებების აღიარებისა და დაფასების გზით.
- საჯარო კონსულტაციებში უმცირესობათა რელევანტური ჯგუფების ჩართულობისთვის სავალდებულო სახის მიცემა.
- თანამშრომლობა საერთაშორისო დონორებთან ციფრული მექანიზმების შესაქმნელად, რომლებიც მაკოორდინირებელ უწყებებსა და საზოგადოებას შორის გაამარტივებს კომუნიკაციასა და საჯარო კონსულტაციის პროცესს.

**რეკომენდაციები მაკოორდინირებელი უწყებებისათვის:**

- კონსულტაციის შესახებ განცხადების საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადების გავრცელება მრავალი საკომუნიკაციო არხის მეშვეობით, მისი ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და დაინტერესებული პირების მიერ ინფორმაციის ძიების გასამარტივებლად.
- საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის და/ან საჯარო პოლიტიკის შეჯამების მარტივ ენაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა - იმ შემთხვევებისათვის, როცა პოლიტიკის დოკუმენტის გაგება სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს. სასურველია, მაკოორდინირებელმა უწყებამ მოამზადოს პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე/ბრიფი, რომელიც შედგენილია მარტივ ენაზე და აქვს იოლად აღსაქმელი ფორმატი, რათა უზრუნველყოფილი იყოს როგორც ორგანიზაციების, ისე - რიგითი მოქალაქეების ჩართულობა.
- საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადებისა და პოლიტიკის დოკუმენტის და/ან პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმეს/ბრიფის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ძირითადი ჯგუფებისათვის - საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესის ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. საჯარო განცხადება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე.
- საჯარო კონსულტაციის შესახებ განცხადებისა და პოლიტიკის დოკუმენტის და/ან პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმეს/ბრიფის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებისათვის - საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინკლუზიის უზრუნველსაყოფად, საჯარო განცხადებაში მოცემული ინფორმაცია მათი საჭიროებებისათვის უნდა იყოს ადაპტირებული. მაგალითად, განცხადება შეიძლება

დაიბეჭდოს ბრაილის შრიფტით, ან ხელმისაწვდომი იყოს მისი აუდიოვერსია, ვიდეო/აუდიო-კლიპს შეიძლება თან ახლდეს თარგმანი ჟესტურ ენაზე და ა.შ.

- საჯარო კონსულტაციების ჩატარება ერთზე მეტ ფორმატში - საჯარო კონსულტაციების ჩატარების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება საჯარო პოლიტიკის შექმნის პროცესში ფართო საზოგადოების უფრო ძლიერ ჩართულობას უზრუნველყოფს.
- საჯარო კონსულტაციის პროცესში უკუკავშირის მიღების მრავალფეროვანი მექანიზმების გამოყენება - მაგალითად, წერილობითი უკუკავშირი ელექტორნული ფოსტის მეშვეობით, კომენტარები ვებგვერდსა თუ სოციალური მედიის გვერდზე, უკუკავშირი ტელეფონის მეშვეობით, ზეპირი უკუკავშირი შეხვედრების განმავლობაში, წერილობითი უკუკავშირი ჩატში მიმონერით, „გუგლის“ ფორმებისა თუ ონლაინ გამოკითხვის სხვა ფორმატების დახმარებით.
- საჯარო კონსულტაციების ჩატარება საჯარო პოლიტიკის შექმნის ყველა საფეხურზე. მაკორდინირებელმა უწყებებმა საზოგადოება კონსულტაციებში უნდა ჩართონ სტრატეგიის კონცეფციის შემუშავების ეტაპიდანვე, და არა მხოლოდ სტრატეგიის შემუშავების ბოლო საფეხურზე. ეს უზრუნველყოფს უფრო ნაყოფიერ თანამშრომლობას და ხელს შეუწყობს საჯარო კონსულტაციის შინაარსიანობას.
- საჯარო კონსულტაციების მასშტაბურობის გაზრდა - ეს უზრუნველყოფს ფართო საზოგადოების ჩართულობას რეგიონებიდან და მუნიციპალიტეტებიდან და შესაბამისად, გადანყვეტილების მიღების დეცენტრალიზაციაში შეიტანს წვლილს.
- საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიშების ხარისხის გაუმჯობესება და გაძლიერება - „პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოში“ განწერილი მინიმალური მოთხოვნებისადმი შესაბამისობის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, სასურველია, რომ შემაჯამებელი ანგარიში შეიცავდეს დამატებით დეტალებს საჯარო კონსულტაციის მიზნისა და პროცესის შესახებ; ინფორმაციას გამოყენებული საკომუნიკაციო არხების, მიდგომებისა და აქტივობების შესახებ; ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული მიღებული კომენტარების ანალიზისათვის და მიენოდა თუ არა უკუკავშირი კომენტარების ავტორებს.
- დამატებითი, მიზნობრივი ძალისხმევა მონაწილეთა მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად - დაგეგმვის პროცესში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა საჯარო კონსულტაციებში უმცირესობათა მონყვლადი ჯგუფების გამოვლენისთვის და ჩართვისათვის. უმცირესობათა სხვადასხვა მონყვლად ჯგუფებთან მომუშავე CSO-ების მონაცემთა ბაზის ქონა.
- საჯარო კონსულტაციებში ჩართული მონყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთა შესახებ სტატისტიკის წარმოება, რასაც შემდგომ საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელ ანგარიშებში ასახვენ და გამოიყენებენ სამომავლო ღონისძიებებისთვის, უმცირესობათა ჯგუფებთან დასაკავშირებლად.
- CSO-ებთან და ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესება. ბიუროკრატიული დაბრკოლებების შემცირებას სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა შეუძლია.
- თანამშრომლობის ნახალისება საპილოტე მონაწილეობითი პროექტებისა და საკომუნიკაციო სტრატეგიების შესაქმნელად.

# დანართი I: თითოეული სტრატეგიის შეფასება საჯარო კონსულტაციის ინდექსის (PCI) მიხედვით

## სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030 და მისი სამოქმედო გეგმა 2021-2022

„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030“-მა და მის-  
მა სამოქმედო გეგმა 2021-2022-მა PCI-ს მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო,  
ჯამური ქულით - 2.4/3. საჯარო კონსულტაციებმა კარგი საერთაშორისო პრაქტიკებისა და შესა-  
ბამისი ადგილობრივი სტანდარტების კრიტერიუმთა უმეტესობა დააკმაყოფილა. დაგეგმილი  
საჯარო კონსულტაციების შესახებ განცხადება საჯარო არხების მეშვეობით გავრცელდა და მათში  
მონაწილეობა ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლო. განცხადება ღონისძიებამდე გონივრული  
ვადით ადრე გავრცელდა, მასში მოცემული ინფორმაცია **დამაკმაყოფილებელი** იყო, საჯარო  
კონსულტაციები სულ ცოტა, ორ ფორმატში ჩატარდა და უზრუნველყოფილი იყო უკუკავშირის  
მრავალი მექანიზმი. გარდა ამისა, უკუკავშირის საკმარისი დრო დაეთმო და საჯარო კონსულტაციები  
პოლიტიკის შემუშავების სამ სხვადასხვა საფეხურზე ჩატარდა. ექვსი კრიტერიუმიდან ყველაზე  
დაბალი ქულა მოცემულმა სტრატეგიამ „მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის“ კრიტერიუმში  
მიიღო (1.8/3). თუმცა, სხვა პოლიტიკის დოკუმენტებთან შედარებით, მისი ჯამური ქულა ერთ-ერთი  
ყველაზე მაღალი იყო.

მაკოორდინირებელი უწყებების პერსპექტივიდან, საზოგადოების ჩართულობა და დაინტერესება  
ასევე მაღალი იყო (3/3). 200 ინდივიდზე მეტი აქტიურად იყო პროცესში ჩართული. მთლიანობაში,  
„სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2030“ და მისი სა-  
მოქმედო გეგმა 2021-2022 ეფექტური და შინაარსიანი საჯარო კონსულტაციის ერთ-ერთი ყველაზე  
წარმატებული მაგალითია.

### ცხრილი 10: სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა 2021-2030 და მისი სამოქმედო გეგმის 2021-2022 შეფასება საჯარო კონსულტაციის ინდექსის მიხედვით

ინდიკატორი/კრიტერიუმი	ქულა
